

# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1975 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯერ კიდევ არ მიწყნარებულიყო ომის შემაზრზენი ხმაური...

ხრჩოლავდა ყუმბარებით გადახნული ნახანძრალები...

მწუხარებასა და საზრუნავში ჩაძირულ ადამიანებს სიხარულისათვის აღარ ეცალათ, ვეღარც ღია ფერებს ამჩნევდნენ — სიცოცხლის გამგებლის პალიტრაზე უხვად გაბნეულებს...

და ისე მოულოდნელი იყო ამ დროს ანას გამოჩენა!

დავინახეთ, ყველამ ნათლად დავინახეთ: იდგა ნახანძრალებზე ყმაწვილი ქალი, როგორც ფერია...

არა, ნახანძრალები კი არა, ეს იყო უკვე ხასხასა მოლი — ყაყაჩოებით, შროშანებით ამოჩითული.

იდგა და გაოცებით გვეკითხებოდა:

,,ყაყაჩოს ,,ღვინო სალხინო" როგორ არ შესვას ანამა?"

იდგა და უხმობდა ომის ქუხილით დაშინებულ ჰია მარიას:

,,კარში გამო ჰია-ჰია მარია,
არას გავნებ, მხოლოდ მოგეფერები...,"

იდგა და შეჰხაროდა ზეცას:

,,შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო,
შენ ისე ღრმა ხარ"...

და საოცარი თრთოლვით ავსილი გაგვანდობდა:

,,ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი"...

ეს იყო ჰიმნი სიცოცხლის გადარჩენისა, სიყვარულის გადარჩენისა...

ასე შემოვიდა და დამკვიდრდა ანა ჩვენს სულიერ ცხოვრებაში.

იმ დღიდან თითქმის სამი ათეული წელი გავიდა, მაგრამ ოდნავაც არ დაუკარგავთ სიახლე, არ შენელებულა ანასეული ლექსების მოლოდინის ღელვა.

მათი მთრთოლარე სტრიქონები უხმაუროდ, ენძელებივით შემოდიან სულში, შემოდიან და რჩებიან,

რადგან ფესვი ქართულ წიაღში აქვთ ღრმად გადგმული,

რადგან მათ თავს ზემოთ ქართული ცა ამაღლებულა,

და მათი სათუთი ფურცლებიდან ასაფრენად ფრთებს შლიან ბედნიერების მახარობელი ჰია მარიები...

ამას წინათ ანა კალანდაძეს დაბადების 50 წლისთავი მიულოცეს.

ჩვენც ვულოცავთ, თუმცა არც გვჯერა! — ანა ხომ ისევ ის ყმაწვილი ქალია, როგორც გავიცანით ამ 30 წლის წინ — წრფელი, უშუალო, სამშობლოს სიყვარულით შთაგონებული, ქართული სიბრძნის წყაროს დაწაფებული...

და კიდევ იმითაც გვხიბლავს ეს განუმეორებელი ხმის პოეტი ქალი, რომ მასში ჰარმონიულად შერწყმულა ქართული ლექსის დიდებული ოსტატი, მოქალაქე და ადამიანი.

მარიკა ბარათაშვილი

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1975 — ქალის საერთაშორისო წელი

## სსრ კავშირის ქალის საერთაშორისო წლის მომწყობ კომისიაში

27 იანვარს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის კ. ტ. მაზუროვის თავმჯდომარეობით გაიმართა სსრ კავშირში ქალის საერთაშორისო წლის მომწყობი კომისიის სხდომა.

სხდომის მონაწილეებმა განიხილეს და ძირითადად მოიწონეს ღონისძიებათა გეგმა, რომელიც გათვალისწინებულია განხორციელდეს 1975 წელს. გეგმით გათვალისწინებულია სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეხვედრები, კონფერენციები, სემინარები, გამოფენები, კონკურსები, ფესტივალები, საზეიმო კრებები და საღამოები.

ფართოდ გაიშლება ქალთა ბრიგადების სრულიად საკავშირო შეჯიბრება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის, გაიმართება ყველაზე მასობრივი პროფესიების მქონე ქალთა შორის ოსტატობის კონკურსები „პროფესიაში საუკეთესოს“ წოდებისათვის. მოეწყობა მშრომელი ქალის შრომის, ყოფაცხოვრ[illegible]ისა და დასვენების პირობების სრულიად საკავშირო დათვალიერება. გათვალისწინებულია გაიმართოს სამეცნიერო კონფერენციები თემებზე: „ქალთა როლი მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის საერთაშორისო მოძრაობაში“, „სსრ კავშირში ქალთა საკითხის გადაჭრის ეროვნული ასპექტი“ და სხვ. მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართება საზოგადოებრივ-პოლიტიკური კითხვები „საბჭოთა ქალი — კომუნიზმის აქტიური მშენებელი“.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღონისძიებებს, რომლებიც მიეძღვნება მზადებას გამარჯვების 30 წლისთავისათვის, საბჭოთა ქალების — დიდი სამამულო ომის მონაწილეების, ზურგის მშრომელი ქალების გმირობის ჩვენებას.

მოეწყობა ქალიშვილთა საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვში, საერთაშორისო შეხვედრა — „ქალები ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქვეყნად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობისათვის“, — მინსკში, სემინარი ალმაათაში, რომელიც მიეძღვნება აზიის ქვეყნების ქალთა მონაწილეობას თავიანთი ქვეყნების ეკონომიურ განვითარებასა და მოზარდი თაობის აღზრდაში.

გეგმის განხილვაში მონაწილეობდნენ კომისიის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ნ. ა. პეტროვიჩევი, კომისიის პასუხისმგებელი მდივანი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. პ. ბირიუკოვა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საბჭოთა საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოპოვა, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ სნეჟკოვა, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ს. ტიხონოვი, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ა. ტ. ლავრენტიევა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მ. სირაძე, ახალი ამბების სააგენტოს გამგეობის თავმჯდომარე ი. ი. უდალცოვი, სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ზ. გ. ნოვოჟილოვა, უკრაინის საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ს. შევჩენკო.

სხდომაზე გამოსვლისას კ. ტ. მაზუროვმა აღნიშნა, რომ ქალის წლის ფარგლებში მოწყობილმა ღონისძიებებმა კიდევ უფრო უნდა აამაღლონ საბჭოთა ქალების შრომითი, პოლიტიკური აქტივობა და ავტორიტეტი საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში. საერთაშორისო ფორუმებზე საბჭოეთის ქალები სიამაყით მოუთხრობენ მთელ მსოფლიოს თავიანთი სამშობლოს მიღწევებზე, მის მშვიდობისმოყვარე საგარეო პოლიტიკაზე, მშრომელი ქალებისა და დედებისათვის, მოზარდი თაობისათვის საბჭოთა სახელმწიფოს ზრუნვასა და ყურადღებაზე. ქალის წლის მოწყობაში მონაწილეობისათვის, ხაზი გაუსვა კ. ტ. მაზუროვმა, უნდა ჩავაბათ მრავალი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაცია, შემოქმედებითი კავშირები, პრესა, ტელევიზია და რადიომაუწყებლობა.

გადაწყვეტილია კომისიის მორიგ სხდომებზე განიხილონ საბჭოთა ქალების შრომის, ყოფაცხოვრებისა და დასვენების პირობების შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები და წინადადებები.

ინფორმაცია ქალთა მსოფლიო კონგრესისათვის მზადების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია, გაიმართოს მიმდინარე წლის ოქტომბერში ბერლინში, გააკეთა საბჭოთა კავშირის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ვ. ნიკოლაევა-ტერეშკოვამ.

კომისიამ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის ნ. ნ. როდიონოვის წინადადებით მოიწონა ტექსტი ინფორმაციისა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც სსრ კავშირში ხორციელდება ქალის საერთაშორისო წელთან დაკავშირებით.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი (საქდესი).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# 8 მარტი

1910 წლის 25-26 აგვისტოს, ქ. კოპენჰაგენში სოციალისტ ქალთა II კონფერენცია მიმდინარეობდა. კონფერენციას მუშათა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე კლარა ცეტკინი ხელმძღვანელობდა. დელეგატები — ინგლისის, გერმანიის, ჰოლანდიის, რუსეთის, დანიის, ავსტრიის, ნორვეგიის, პოლონეთის, პორტუგალიის, შვეიცარიის, ფინეთის, ამერიკისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლები მოახსენებდნენ შეკრებილთ თავთავისი ქვეყნების ქალთა პროლეტარული მოძრაობის შესახებ.

ორატორთა გამოსვლები იმას ადასტურებდა, რომ მსოფლიოს ქალებს, მიუხედავად მათი პოლიტიკური თუ რელიგიური მრწამსისა, რასობრივი თუ ენობრივი განსხვავებისა, საერთო საბრძოლო ამოცანები გააჩნდათ, და ამ ბრძოლებში გამარჯვების უმთავრესი პირობა ძალთა გაერთიანება-შემტკიცებაში იყო.

სწორედ მაშინ, კოპენჰაგენის იმ კონფერენციაზე გადაწყდა დაწესებულიყო ქალთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. არჩევანი 8 მარტზე შეჩერდა და ეს შემთხვევითი როდი იყო! მუშათა მოძრაობის ისტორიაში ცნობილია 1857 წლის 8 მარტი, როდესაც შრომის აუტანელი პირობებით განაწამები ამერიკელი მუშა ქალები ნიუ-იორკის ქუჩებში პროტესტით გამოვიდნენ.

იქიდან მოყოლებული, სამოცდამეხუთედ ტარდება წელს ეს საერთაშორისო დღესასწაული.

მაგრამ თუ კოპენჰაგენის კონფერენციის დღის წესრიგში მთავარი ადგილი საარჩევნო ხმის უფლებისათვის ბრძოლის საკითხს ეკავა, შემდეგ, მსოფლიოს ქალთა მოძრაობა, ამა თუ იმ ისტორიული ვითარებისათვის, ამა თუ იმ ქვეყნის ქალთა მდგომარეობის შესატყვისი პრობლემებით ხასიათდება.

ამ ექვსნახევარი ათეული წლის მანძილზე მსოფლიოში დიდი სოციალური ძვრები მოხდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ, სოციალისტური ქვეყნების ძლევამოსილი ბანაკის წარმოშობამ და განმტკიცებამ შესაძლებელი გახადა ქალისა და მამაკაცის სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიური და იურიდიული თანასწორუფლებიანობა.

იოლად როდი მოხდა ეს გამარჯვება, რადგან ქალთა განთავისუფლებას ეწინააღმდეგებოდნენ არა მარტო კლასობრივი მტრები და რელიგიური ფანატიკოსები!

ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ იმისთვის, რომ ქალს ეგრძნო თავი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად, არ კმაროდა მისი უფლებრივი გათანასწორება — აუცილებელი იყო რევოლუცია ადამიანთა შეგნებაში, მათ ფსიქოლოგიაში, უპირველეს ყოვლისა ბრძოლა თვით ქალთა ნაწილის სიბნელისა და უმეცრების წინააღმდეგ, მათში ადამიანური ღირსებისა და საკუთარ ძალთა რწმენის გაღვიძება. მაგრამ საჭირო იყო პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარება არა მარტო ქალთა, არამედ მამაკაცთა შორისაც, რათა ძირფესვიანად ამოძირკვულიყო ძველი შეხედულებები, მავნე, დახავსებული ცრურწმენები და წეს-ჩვეულებები.

ამავე დროს, აუცილებელი იყო ისეთი პირობების შექმნაც, რაც ქალს გაუადვილებდა მისი ახალი როლის — საზოგადოებრივი საქმიანობისა და დედის ყველა მოვალეობის შეთავსებას. ამიტომაა, რომ დღიდან საბჭოთა წყობილების დამყარებისა, ბედნიერი დედობა, ქალის ზრდა და წინსვლა საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს შეადგენს.

ვ. ი. ლენინს ღრმად სწამდა, რომ ქალის სრულ განთავისუფლებაში დიდ როლს შეასრულებდა საზოგადოებრივი მეურნეობა, მეურნეობა, სადაც ქალი და მამაკაცი თანაბრად იშრომებდნენ.

და მართლაც, საზოგადოებრივმა შრომამ სოციალიზმის პირობებში ფასდაუდებელი, კეთილმყოფელი გავლენა მოახდინა ქალთა მდგომარეობაზე — გამოიყვანა ისინი საოჯახო, წვრილმანი საზრუნავის რკალიდან, მისცა მათ ეკონომიური დამოუკიდებლობა, მიანიჭა კუთვნილი ადგილი ოჯახსა და საზოგადოებაში.

გამართლდა ბელადის წინასწარდასახულობა: კაცობრიობის მეორე ნახევრის საუკუნეობით დათრგუნვილი ენერგია დღეს სასწაულებს ახდენს: მილიონობით ქალს უდიდესი წვლილი შეაქვს ახალი ცხოვრების შენებაში, მილიონობით ქალი აოცებს მსოფლიოს საგმირო საქმიანობით, შემოქმედებითი შრომითა და ოსტატობით.

მათ შორის საპატიო ადგილი უჭირავთ საქართველოს ქალებსაც. ყოველ დღეს მოაქვს მათი ახალ-ახალი წარმატებების ამბები კულტურისა თუ სახალხო მეურნეობის ამათუ იმ უბნიდან, ყოველ წელს მოსდევს ახალ-ახალი სახელების აღმობრწყინება.

წინ დიდი გზაა, დიდი პერსპექტივები. ხოლო მათ განხორციელებაში უდიდესი როლი სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას მიეკუთვნება. ესაა მეტად რთული პროცესი, რომელიც ძირითადად XX საუკუნეში დაიწყო და დიდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობათა ყველა სფეროზე. წარმოების ავტომატიზაცია და მექანიზაცია ძირეულად ცვლის შრომის შინაარსს — მასში მთავარი მნიშვნელობა ენიჭება არა ფიზიკურ ძალას, არამედ ცოდნას, შრომის ორგანიზებისა და ახალი ტექნიკის გამოყენების უნარს. ამ მხრივ, ქალთა პროფესიული გადამზადების მხრივ, საბჭოთა კავშირის ქალებს დიდ სამსახურს გვიწევს სპეციალური პროფტექნიკური სასწავლებლები, სადაც ქალები 975 პროფესიას ეუფლებიან.

ამავე დროს, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის კეთილმყოფელი გავლენა თანაბრად როდი ვრცელდება მსოფლიოს ყველა რაიონზე! იმ ქვეყნებში, სადაც ქალის შრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მა მამაკაცისაზე იაფად ფასობს, და ამ სხვაობის ხარჯზე მდიდრდებიან კერძო საწარმოთა მეპატრონენი, სადაც ქალის შრომის, განათლებისა თუ საყოფაცხოვრებო პირობებზე ზრუნვისათვის არავითარ ვალდებულებას არ გრძნობენ მათი დამქირავებლები, სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციაც კერძო მონოპოლისტთა ინტერესების სამსახურშია, მათი კეთილდღეობის წყაროდ ქცეულა.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანეთის ტრედუნიონების კონგრესმა ჯერ კიდევ 1888 წელს დაადგინა, ბოლო მოღებოდა ქალის დისკრიმინაციას შრომის ანაზღაურებაში, მონოპოლიების პოლიტიკის წყალობით, ეს რეზოლუცია დღესაც მხოლოდ ქაღალდზე რჩება — ინგლისის მთელ რიგ საწარმოებში, ქალები მამაკაცებთან თანაბარ შრომაში, მათზე ბევრად ნაკლებ ხელფასს იღებენ.

და არა მარტო ინგლისში — ჯერ კიდევ არის ქვეყნები, სადაც აქვს ადგილი, დისკრიმინაციას: სამუშაოზე მიღებისას, შრომის ანაზღაურებისას, უმაღლეს სასწავლებელში შესვლისას, სადაც ქალს დამცირებულ მდგომარეობაში აყენებს მამაკაცთან არათანაბარი უფლება არჩევნებში (ისეთ განვითარებულ ქვეყნებშიც კი, როგორიც შვეიცარიაა, დიდი ხანი არაა, რაც ქალებმა მიაღწიეს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას); მეუღლესთან არათანაბარი უფლებები ოჯახში და სხვა და სხვა...

ბოლო ათეულმა წლებმა მნიშვნელოვნად დააჩქარა ქალთა თვითგამორკვევის პროცესი. იშვიათია ქვეყანა, სადაც ქალთა საერთაშორისო მოძრაობას არ შეეღწიოს, სადაც 8 მარტს თავისი ფუნქცია მეტ-ნაკლებად არ შეესრულებინოს. ამ საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის სხვადასხვა ქვეყნებისა და მსოფლიოს სხვადასხვა რაიონების ქალთა ორგანიზაციებს, რომელთა შორის განსაკუთრებული ადგილი ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას მიეკუთვნება.

ეს ფედერაცია მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ შეიქმნა და არსებობის პირველი დღეებიდანვე სათავეში ჩაუდგა მშვიდობისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის. ქალთა ადამიანური უფლებებისათვის ბრძოლას.

ფედერაციის მუშაობაში სოციალისტური ქვეყნებისა და კერძოდ საბჭოთა კავშირის ქალებს საპატიო ადგილი უჭირავთ. ეს ბუნებრივიცაა, რადგან საბჭოთა ქალს წილად ხვდა ყოფილიყო მეტად მძიმე, მანამდე უცნობი წინააღმდეგობებით სავსე გზის პირველი გამკვალავი.

წელს ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას 30 წელი უსრულდება.

მაგრამ წლევანდელი წელი იმითაცაა შესანიშნავი, რომ ის ქალთა საერთაშორისო წელია;

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების 30 წლისთავია;

ქალთა საერთაშორისო კონგრესის წელია (კონგრესი გაიმართება გდრ-ში, ქ. ბერლინში, მ. წ. 20-24 ოქტომბერს).

და ყველაფარი ეს — იუბილე თუ ღონისძიება — ერთი დიდი, შინაგანი უწყვეტი ჯაჭვითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

როგორც ცნობილია, ქალთა საერთაშორისო წელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით ტარდება და მიზნად ისახავს ქალთა და მამაკაცთა უფლებრივ გათანაბრებას. ამ შემთხვევაში, 8 მარტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. თანახმად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოწოდებისა, საერთაშორისო წლის მონაწილე ქვეყნებში მოეწყობა ფოტოგამოფენები, რომლებიც მოუთხრობენ დამთვალიერებელთ საუკუნის მანძილზე ქალთა ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებების შესახებ;

დემონსტრირებული იქნება ამ წლისადმი მიძღვნილი ქალთა ცხოვრების ამსახველი ფილმები;

კიდევ და კიდევ გამახვილდება ყურადღება ჯერ კიდევ მოუწესრიგებელ პრობლემებზე, დაისახება ახალი ამოცანები.

დიდი იმედებითა და ოცნებებით ეგებებიან წლევანდელ 8 მარტს საქართველოს ქალებიც.

მათი არაერთი შესანიშნავი წარმატების შესახებ მოუთხრობენ მკითხველებსა და მნახველებს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, რადიო, ტელევიზია, და საგამოფენო სტენდები...

მაგრამ ,,არა მარტო ტკბილ ხმათათვის“ შემოსულა 8 მარტი ჩვენს ცხოვრებაში!

ჩვენ გვმართებს კიდევ მეტად გავამახვილოთ ყურადღება ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და მოსაგვარებელ საკითხებზე;

მეტი წვლილი შევიტანოთ ჩვენი ერის შემდგომი სულიერი ამაღლებისა და სრულყოფის საქმეში;

გაორკეცებული ძალითა და ენერგიით ვიბრძოლოთ რესპუბლიკის კულტურული ცხოვრებისა და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული გეგმების შესასრულებლად — IX ხუთწლედის სახელოვნად დაგვირგვინებისათვის;

მხურვალე მონაწილეობა მივიღოთ ქალთა საერთაშორისო ასპარეზობებში ღირსეული ადგილის დასამკვიდრებლად.

ქართველი ქალი არასოდეს შემოზღუდულა მხოლოდდამხოლოდ პირადული ინტერესებით, მაგრამ წელს მეტად, ვიდრე ოდესმე, გვმართებს დავუდასტუროთ ჩვენი გულმხურვალე სოლიდარობა ეროვნული დამოუკიდებლობისა, დემოკრატიისა, მშვიდობისა, ბავშვთა ბედნიერებისა, პროგრესისა და ქალთა თანასწორუფლებიანობისათვის ყველა მებრძოლს;

აქედანვე უნდა ვემზადოთ ქალთა საერთაშორისო კონგრესისათვის, რათა ღირსეულად შევხვდეთ მას.

დაე, კეთილი იყოს ქალის საერთაშორისო წლის 8 მარტის შემობრძანება მსოფლიოში!

გაუმარჯოს მის მაღალ მიზნებსა და კეთილშობილურ დანიშნულებას.

მზია ჩხეტიანი

* * *

რწმენა,
ღალატი
და სიყვარული
ცალფეხა ხიდზე როგორ ქანაობს,
და მარტოობის მჭიდრო დარაბებს
როგორ აწყდება ქარი ამაოდ.
აპრილის ფერთა დიდი ზეიმი,
თუ ფოთოლცვენის ჩუმი ტკივილი,
ქარი აშარი და არხეინი,
მიტოვებული კერის ჩივილი —
შენ ყველაფერი ნახე ადრიდან —
ბადაგის გემოც,
მწარე ნაღველიც,
ქარი, თვალებში მტვერს თუ გაყრიდა,
იყო პირველი დარდის გამხელაც.
სატრფოც იყავი და გიღალატეს,
არ ჩაგქრობია მაინც მზეგული,
ახლა ხვალისთვის საგზალს ალაგებ,
ცხოვრების სიბრძნით დამშვიდებული.

* * *

რაც უნდა დიდი მადლი მოისხა,
ყველა არა და არ შეგიყვარებს, —
სწორედ მაღლა და
მაღლა ლტოლვისას
დასწვა მზემ ფრთები ჭაბუკ იკაროსს.
სწორედ მაღლა და მაღლა ლტოლვისას
გაგტანჯავს მზეც და ავი ქარწვიმაც,
დადგება ჟამი საღამოისა,
ცისარტყელები ზღვაში ჩაცვივა.
მაინც საოცრად დიდი გრძნობისა
და სიხარულის შუქი აგავსებს —
მხოლოდ და მხოლოდ მაღლა ლტოლვისას
არის სიკვდილი თურმე ლამაზი.

* * *

უცბად ადიდდა ჩემი მდინარე,
არ დაელოდა გაზაფხულის
აგუგუნებას
და დამიფეთა ის ქორბუდა
მთასა მყვირალი,
მაშინ, როდესაც მე მეგონა,
დამიბრუნებდა,
მოიტაცა და დამინგრია
თეთრი კარავი —
ჩემი ნათელი,
მხიარული ნავსაყუდელი,
წვიმაც მოვიდა საშინელი
და შემზარავი
და მე მარტოკა ამ წვიმაში
გზას გავუდექი...
თან ვაგროვებდი ტკივილის თუ
ლხენის ნამსხვრევებს
ჩემი მდინარის გადალეკილ,
ლურჯ ნაპირებთან,
და სველი კაბის ცივ კალთაში
ფრთხილად ვახვევდი,
რაც ძველ დღეებთან,
სიხარულთან მაკავშირებდა.
მივლილინებდი —
აღარ ღირდა გლოვა ამაო,
დარდიც, ტკივილიც
სულის ფსკერზე უხმოდ დავფალი —
წუთისოფელთან კვლავ მელოდა ბლომად
სადაო —
მოღაღანე თუ დატბორილი სათიბ-სამკალი!

ეროვნული ბიბლიოთეკა



### ხუთწლედის დიადი მშენებლობა

# სპილენძის ქალაქი-მადნეული

1975 წლის დამდეგს მწყობრში ჩადგა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი. ეს არის პირველი მშენებლობა საქართველოში, რომელიც ამუშავდა სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების შესაბამისად. იგი საშუალებას იძლევა, რომ წელიწადში გადამუშავდეს ასეულ ათასობით ტონა სპილენძის მადანი. მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლებმა, მემონტაჟეებმა და ექსპლოატაციის მუშაკებმა იკისრეს მისი სრული სიმძლავრით ამოქმედება 1975 წლის 7 ნოემბრისათვის.

ამგვარად, საქართველოს რუკაზე გაჩნდა ახალი სამრეწველო ქალაქი მადნეული.

ჩვენ იმ სახელოვან ქალებზე მოგითხრობთ, რომლებმაც სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგის ამუშავებამდე ლაბორატორიული საქმიანობით დიდი წვლილი შეიტანეს სპილენძის ქალაქის დაბადებაში.

თითქმის ოცი წელია, რაც აქ სპილენძის ამოღება სწარმოებს. უკვე რამოდენიმე ათეული ათასი ტონა მადანი გაეგზავნა მოძმე რესპუბლიკებს.

მოპოვებული მადანი, სანამ გამოსადეგობად გამოდგებოდეს, გამამდიდრებელ პროცესებს გაივლის. მადნეულის საბადო კარიერებზე მუშაობენ გამოცდილი გეოლოგები ანა მელიტონის ასული მაისურაძე და ანტონინა მიხეილის ასული გუეჯსკაია. მთავარი, რაც მათი უშუალო ხელმძღვანელობით და მონაწილეობით სრულდება, ეს არის მადნის მარაგის როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის დაზუსტება. ბურღავენ, ამოაქვთ ნიმუშები, აანალიზებენ მათ, შეისწავლიან, ასკვნიან — ასეთია ამ მანდილოსანთა საქმიანობა.

სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის ამუშავებამდე რამდენიმე წლით ადრე აქ შედარებით მცირე მასშტაბით მიმდინარეობდა ყველა ის პროცესი, რაც მადნის დამუშავებას სჭირდება: მისი დამტვრევა, დაფქვა, ფლოტაცია, შესქელება, ფილტრაცია, გაშრობა. ერთი სიტყვით, საექსპერიმენტო სამქროში ათი წლის განმავლობაში სრულდებოდა მადნეულის გადამუშავება-რეალიზაციის გეგმები.

წიაღისეული მადნის დამუშავებაში მთავარია მადნის მექანიკური გამდიდრება, ე. ი. სასარგებლო მინერალის გათავისუფლება ფუჭი ქანებისაგან. ეს პროცესი სველი წესით მიმდინარეობს და მას ნადეჟდა სვინტიძე ხელმძღვანელობს. თვითმცლელს მოაქვს მადანი, იგი წვრილად იმტვრევა, ქუცმაცდება, შემდეგ გადადის ბურთოვან წისქვილში და აქედან გამოსულ სველ ფაფისებრ მასას შურა ფრანგულაშვილი და თამარ სელიმაშვილი აკონტროლებენ, ფლოტაციისათვის ამზადებენ, და ამ პროცესის ჩასატარებლად თამარ ოგანეზოვას და ჟულიეტა მელქონიანს უგზავნიან. აქედან მადანი გასაფილტრ განყოფილებაში გადადის, სადაც შესანიშნავად ართმევს საქმეს თავს ციალა დევრისაშვილი, თავდაპირველად, როცა მან გაიგო — თვეში ასი ტონა ფქვილადქცეული მადანი უნდა მიეცა სამშობლოსათვის, გაიკვირვა: ამ პუდრს რა წონა აქვს, რისი ასი ტონაო. მაგრამ აი, აითვისა საქმე, შემდეგ გეგმები გადაჭარბებით შეასრულა და დღეისათვის უკვე რამდენიმე ათასი ტონა მადანი მოდის მის წილად. გეგმების გადაჭარბების გამო კი ხელფასთან ერთად ჯილდო-წანამატიც ბევრჯერ აუღია.

ყველა ზემოჩამოთვლილი პროცესების გავლის შედეგად მიღებული ნაწარმი ჯერ კიდევ არ არის სპილენძი. მზა ნაწარმი მას პირობითად ეთქმის. სინამდვილეში იგი მადნის კონცენტრატია — უამრავ ნივთიერებათა ნარევი, რომელშიც უსარგებლო ნივთიერებათა მასა ოთხჯერ და მეტადაც ჭარბობს სპილენძს. ამ ნარევიდან სუფთა სპილენძის გამოყოფა მადნეულელებს ჯერ არ შეუძლიათ. ამიტომ საჭირო ხდება ამ კონცენტრატის საქართველოს საზღვრებს გარეთ გატანა. საკითხისადმი ეკონომიური თვალსაზრისით მიდგომამ ცხადყო, რომ რამდენიმე ათეული მილიონი ტონა ტვირთის გატანა არც თუ ისე ადვილი საქმეა. გარდა ამისა, კონცენტრატისგან სპილენძის გამოყოფა რომ ადგილზე, მადნეულში ხდებოდეს, მადნეულელთა შრომის რენტაბელობა კიდევ უფრო ამაღლდება.

ჯერჯერობით მსოფლიოში სპილენძის საბოლოო გამოყოფის ხერხები სრულყოფილი არ არის, რადგან ქარხნები გარემოს აბინძურებენ გოგირდის მტვრით. სასიხარულოა, რომ ქართველმა მეცნიერებმა შეძლეს ამ მძიმე საქმის მოგვარება. მათ მოახერხეს სპილენძის გამოდნობის წესი ისე შეეცვალათ, რომ ატმოსფეროში კი არ იბნეოდეს მავნე გაზები, არამედ მათ ხარჯზე მოხდეს მევენახეობისათვის მეტად საჭირო გოგირდის, მრეწველობისათვის კი გოგირდის სიმჟავისა და გოგირდმჟავამანგანუმის დამზადება.

იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოში სპილენძის ყველაზე დიდი მარაგი სოფელ კაზრეთის მიდამოებში აღმოჩნდა, სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის აგება იქ-

ვე გადაწყდა და ამით ქალაქ მადნეულის დაბადებას დასაბამი მიეცა. ისიც გადაწყდა, რომ სუფთა სპილენძის მისაღებად ახალი ხერხებით მომუშავე ჰიდრომეტალურგიული ქარხანაც იქვე აიგოს. მაგრამ ამ ახალი ხერხების შესამოწმებლად კაზრეთულას ხეობაში უნდა გაშლილიყო მუშაობა არა ლაბორატორიული, არამედ ნახევრად ქარხნული წესით.

პროფესორ პლატონ ვლადიმერის ძე გოგორიშვილისა და თეოფილე ილიას ძე ალლაძის ხელმძღვანელობით მდინარე მაშავერას შესართავთან ამ ათიოდე წლის წინ უიშვიათესი ცდები დაიწყო... ქალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ დიდი სურვილი გამოთქვეს ამ საქმიანობაში მიეღოთ მონაწილეობა.

მეცნიერული ცდები განუწყვეტლივ მიმდინარეობს, სამუშაოები მაღალი წნევის ქვეშ წარმოებს. ასევე მაღალია ტემპერატურაც. მაღალ ატმოსფერულ წნევას საკომპრესორო დანადგარების გამოყენებით იღებენ, მაღალ ტემპერატურას საქვაბე მოწყობილობანი წარმოქმნიან. ამ სამუშაოებისათვის მთელი პასუხისმგებლობა აკისრიათ ლიზა მელქონიანს და ციალა ციმაკურიძეს.

მეორე ცვლაში მათ შურა მეიტარუევა და ეკატერინე ათარბეგოვა ცვლიან. ისინი რაციონალურად იყენებენ დროს და სპეციალური მოწყობილობით ამზადებენ ფლოტაციისათვის საჭირო რეაგენტს — თხიერ მიწას.

ხშირად სხვადასხვა ცდების ჩატარებისათვის საჭირო ხდება ლაბორატორიისათვის სათანადოდ განსხვავებული მასალის მიწოდება. მაგალითად, ზოგჯერ საამქროდან მიღებულ ნამცეცებად დაფქვილ ფლოტაციაქმნილ მასალას, ლაბორატორიის მიერ შეკვეთილი სერტიფიკაციის მიხედვით, კვლავ დაფქვა-ფლოტირება ესაჭიროება. საამისოდ სპეციალური საამქროა გახსნილი, რომელსაც ხელმძღვანელობს თამარ ცერცვაძე, პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტის კურსდამთავრებული, იგი უნარიანად უძღვება საქმეს. მას მხარში უდგანან ავტოკლავური გამოტუტვისათვის საჭირო მასალის შემზადებაზე უშუალოდ დასაქმებული კლასიფიკატორის მემანქანე მედიკო ულენტი, ბურთოვანი წისქვილის ზედამხედველი ემა ასპანიძე, ლენტური კონვეიერის მემანქანე იზოლდა ბასილაშვილი, ლაბორანტი ლუდმილა კორტავა, რომელიც მადანში ლითონის შემცველობის რაოდენობას განსაზღვრავს. საამაყო მუშაკებია ნინო ტოჩალავა, ნადია აბუაშვილი, ნელი ხუციშვილი და ბევრი სხვანი.

ამჟამად პროფესორ პლატონ გოგორიშვილის ხელმძღვანელობით მომუშავე კოლექტივი მზად არის ისე წარმატებით ჩაატაროს დარჩენილი სამუშაო, რაც დასჭირდება საპროექტო ორგანიზაციებს ასაგები ჰიდრომეტალურგიული ქარხნის დაგეგმარებისას ამა თუ იმ საკითხის ან დეტალის ზედმიწევნით ზუსტად გაანგარიშებისათვის.

ი. მერაბიშვილი



მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მოწინავე მუშები: ნოდარ ფოცხვერაშვილი, ჯულიეტა მელქონიანი და ბადრი გოგოლაძე.





ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური იაკოვლევი

# მიწის გული

ვუძღვნი ჩემს დედას

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

გაზაფხულზე, მარტისა და აპრილის გასაყარზე, ცას ოკეანისფერი სილურჯე გადაეკვრება ხოლმე და ხორხოშელა თოვლი ზღვისპირა ქვიშასავით ფეხქვეშ ხრაშუნობს. თელას მოვარდისფრო კანი ასკდება და სიფრიფანა ფურცლები ქარის ყოველ დაქროლვაზე პაპიროსის ქაღალდივით თრთის. კაშკაშა მზე თვალებს გჭრის და, თუ ქარი ჩამდგარია, ალერსიანად გელამუნება ლოყაზე. რაც მთავარია, ირგვლივ ყველაფერი გამოღვიძებული მიწის მაცოცხლებელი, მძაფრი სურნელით იჟღინთება, სურნელება თავბრუს გახვევს და, საკმარისია, ღრმად ჩაისუნთქო, რომ სხეულს ედება და გულს რაღაც იდუმალი სიხარულით ავსებს. გრძნობ, როგორ იღვიძებს შენში ჭაბუკური ძალა და ყრმობის ნეტარ დღეებს გაგონებს.

გახსენდება დედა...

დედა მე ჭაღარა და ქანცმილეული მახსოვს. ასეა, შვილებს არ ამახსოვრდებათ დედების ყმაწვილქალობა, მათი სილამაზე. ისინი მაშინღა იგებენ რაა ლამაზი, როცა დედის სილამაზე უკვე დამჭკნარია.

მეც დედაჩემი ჭაღარა და ქანცმილეული დამამახსოვრდა. ამბობენ კია, ლამაზი იყოო. დიდრონი, ფიქრიანი, სიკეთის შუქით გასხივოსნებული თვალები, მუქი წარბები, გრძელი წამწამები, მაღალ შუბლზე ჩამოშლილი კვამლისფერი თმა, თავზე მოწყალების დის წითელჯვრიანი თეთრი თავსაფარი, — ასეთი იყო დედაჩემი გამოხუნებულ ფოტოსურათზე.

თითქოს დღესაც ჩამესმის მისი წყნარი ხმა, აუჩქარებელი ნაბიჯები, ვგრძნობ მისი მზრუნველი ხელის შეხებას, მისი კალთის სითბოს. ეს მუდამ ასე იქნება, მნიშვნელობა არა აქვს, რამდენი წლისა ხარ.

შვილები არასოდეს ეუბნებიან დედას, გვიყვარხარო. მათ ისიც კი არ იციან, რა ეწოდება იმ გრძნობას, დღედადღე რომ უძლიერდებათ. მათთვის ეს გრძნობა კი არა, ისეთივე ბუნებრივი და სავალდებულო რამაა, როგორც სუნთქვა, ან მოწყურებულზე წყლის დალევა.

დედისადმი სიყვარულს თავისი ოქროს ხანაც აქვს. მე ეს ძალიან ადრე შევიგრძენი, როცა მივხვდი, დედაზე აუცილებელი ადამიანი დედამიწის ზურგზე არ მოიპოვებოდა. გვერდიდან არ ვშორდებოდი, დაძინებისაც კი მეშინოდა, არ გამეპაროს-მეთქი. გავიღვიძებდი და მაშინვე თავში გამიელვებდა: სად არის დედა? მაშინ მე პატარა რაინდად წარმომედგინა თავი, დედა კი ჩემი მშვენიერი მანდილოსანი იყო. გამეტებით ვიქნევდი ხის დაშნას და მზად ვიყავი მის დასაცავად. ის გრძობდა ამას და ბედნიერი იყო.

იმ შორეულ დღეთა ამბები კარგად აღარ მახსოვს. დედისადმი ასეთი გრძნობა რომ მქონდა, ეს კი ვიცი, იმიტომ, რომ დღესაც ნაპერწკალივით მინთია გულში, არ ჩამქრობია და ვცდილობ, არც ჩაქრეს, ვინაიდან თუ გულს დედის სიყვარული არ ათბობს, გული ცივია და ცარიელი.

ქალი, რომელსაც თავისი ბავშვის პირველი სუნთქვა ესმის, და ქალი, რომელმაც მისი უკანასკნელი ამოსუნთქვა გაიგონა, ორი სხვადასხვა ადამიანია, სხვადასხვა, როგორც ბედნიერება და უბედურება, სიკეთე და ბოროტება, სიცოცხლე და სიკვდილი. მაგრამ, ეს ორი ადამიანი შერწყმულია ერთ დიდებულ არსებად, რომლის სახელია დედა.

მე დედისათვის არასოდეს დედა არ დამიძახნია. მისთვის სხვა სიტყვა მქონდა, დედიკოს ვეძახდი. წამოვიზარდე, მაგრამ ამ სიტყვას მაინც ვერ ვუღალატე. ვცდილობდი, „დედა“ დამეძახა, მაგრამ ბაგეს ჩემდაუნებურად ისევ ის საალერსო, ბავშვური „დედიკო“ სწყდებოდა. საულვაშე ღინღლმა დამიფარა, ხმა დამიბოხდა, უკვე მრცხვენოდა ამ სიტყვის თქმა და სხვების თანდასწრებით ჩურჩულით-ღა ვამბობდი.

უკანასკნელად ეს სიტყვა წვიმით გალუმპულ ბაქანზე წარმოვთქვი, წითლად შეღებილ ჯარისკაცულ თბილანასთან, საშინელ ჭეჭყვა-სრესაში. გაისმოდა ორთქლმავლის საგანგაშო კივილი და ბრძანება: „ვაგონებში შედით!“ რა ვიცოდი, რომ სამუდამოდ ვემშვიდობებოდი დედას, ვერც წარმომედგინა, თუ დედასთან სამუდამოდ დამშვიდობება შეიძლებოდა. ყურში ჩავჩურჩულებდი, „დედიკო“-მეთქი და ჩემი მამაკაცური ცრემლები რომ არავის დაენახა, დედის თმაზე ვიმშრალებდი... მაგრამ დაიძრა თუ არა თბილანა, ველარ მოვითმინე, დამავიწყდა, რომ მამაკაცი ვიყავი, ჯარისკაცი, დამავიწყდა, რომ ირგვლივ ხალხი იყო, ძალიან ბევრი ხალხი. ჩემმა ყვირილმა დაფარა ბორბლების ხმაურიცა და ქარის ზუზუნიც:

— დედიკო! დედიკო....

მაგრამ ძახილი დედას აღარ გაუგონია...

თოვლის თეთრ ფონზე ტირიფის წითელი და მოქნილი წნელი მჩქეფარე სისხლით სავსე ძარღვად მესახება, მის გვერდით კი მეორე ცისფერი ძარღვია. — ეს გაზაფხულის მზით გაცოცხლებული ნაკური თოვლის ნაკადულია. წითელი არტერია და ცისფერი გაზაფხული — ასეა გაწონასწორებული ცხოვრება.

ალაგ-ალაგ ლიპი ჩამალავს წყალს, მაგრამ მხიარული რაკრაკით მალე ისევ აჩენს. არაფერი ჯობს, რომ დაიხრები და ერთ ყლუპ წყალს შესვამ მარტის ნაკადულიდან. ამბობენ, ვინც თოვლის ნაკურს სვამს, ძალა ემატება და დიდხანს ცოცხლობსო.

დედასავით არავის ძალუძს, ღრმად ჩაიმარხოს გულში თავისი დარდი და სატანჯველი. შვილებივით გულგრილად კი არვის შეუძლია თვალი აარიდოს იმას, რაც დედის გულში ტრიალებს. არა ჩივის? მაშასადამე, არც არაფერი აწუხებს. მე არასოდეს მინახავს ატირებული დედა. ჩემი თანდასწრებით არასოდეს ასწყლიანებია თვალები, არასოდეს დაუწუწუნია ცხოვრებაზე, სატკივარზე. და მე არ ვიცოდი, რომ ეს იყო მხოლოდ ჩემდამი გამოჩენილი გულმოწყალება.

როცა საგუშაგოზე მდგომს ძალიან შემცივდებოდა ხოლმე, მიწურიდან ამოშვერილ მილს ვეხუტებოდი და კვამლზე ვთბებოდი. გაყინულ, სიცოცხლისნატამალდაკარგულ სახეს მწარე სითბო ეფინებოდა. მენანებოდა, რომ ამ სითბოთი სუნთქვა არ შეიძლებოდა. მაგრამ თუ კარტოფილი ჩაგვივარდებოდა ხელში, მას უეჭველად მავთულზე ავაცვამდით ხოლმე და მილში ჩავუშვებდით. კარტოფილი თანაბრად იბრაწებოდა. მერე მას თოვლით ვაცლიდით ჭვარტლს და შევექცეოდით. ძალიან გემრიელი იყო. ჩვენ ყოველთვის მშივრები ვიყავით და ყოველთვის გვციოდა. მხოლოდ ბრძოლის დროს, იარაღთან მდგომთ, შიმშილიც გვავიწყდებოდა და სიცივეც. და კიდევ მაშინ, როცა შინიდან წერილს მივიღებდით.

ამ წერილებს ერთი საოცარი თვისება ჰქონდათ, ამას თითოეული ჩვენგანი ამჩნევდა, ერთმანეთს კი არ ვუტყდებოდით: ყველაზე მძი-

მე წუთებში, როცა გვეჩვენებოდა, რომ მორჩა, ყველაფერი დამთავრდაო, ან საცა იყო დამთავრდებოდა. შინიდან გამოგზავნილ ბარათებში ვპოულობდით სიცოცხლის ხელუხლებელ მარაგს. ეს მარაგი დიდხანს გვყოფნიდა, რადგან ვიზოგავდით და ნელ-ნელა ვხარჯავდით — იმედი არა გვქონდა მალე შევსებისა.

დედაჩემის წერილები არ შემომრჩა. არც ზეპირად მახსოვს, თუმცა, ვინ მოთვლის, რამდენჯერ გადავიკითხე. ისინი მიცოცხლებდნენ მშობლიური სახლის სურათებს. თვალწინ მიდგებოდა ჩვენი ბინა: მოშორენკეცებული დიდი ღუმელი ღუღუნებდა და ირგვლივ ფისიანი შეშის სურნელი იდგა, ტკაცატკუცით იწვოდა შეშა და იატაკზე ნარინჯისფერ ნაკვერცხლებს ისროდა. დედა სწრაფად იღებდა მათ, თითები რომ არ დასწვოდა, და უკანვე ყრიდა ღუმელში. როცა შეშა მთლიანად დაიწვებოდა, დედა მაშით აურევდა ნაკვერცხლებს და უცდიდა, ვიდრე ცეცხლის ცისფერი ალი მთლიანად არ გაილეოდა. მერე მჭიდროდ მიხურავდა სპილენძის კარს. სულ მალე თეთრი შორენკეცი გახურდებოდა და დედა ზურგით ეყრდნობოდა თვალდახუჭული.

და აი, როცა საგუშაგოზე მდგომს სუსხიანი ქარი სახეში მცემდა, ღუმელთან მიმჯდარ თვალდახუჭულ დედას ვხედავდი. ჯიბეში მისი წერილი მედო და მეჩვენებოდა, თითქოს იგი ფისიანი შეშის სითბოს გამოსცემდა. ამ მშობლიურ სითბოს ქარი უკვე ველარაფერს აკლებდა.

როცა დედისაგან წერილს მივიღებდი, ჩემთვის აღარც ქაღალდი არსებობდა, აღარც საველენომრიანი კონვერტი და აღარც სტრიქონები. რჩებოდა მხოლოდ დედის ხმა, რომელიც იარაღის გრიალში მესმოდა.

მიწურის კვამლი მშობლიური კერის კვამლივით მეალერსებოდა სახეზე.

ახალწლის წინა ღამეს კი თვალნათლივ დავინახე, როგორ ენთო ჩემს სახლში ნაძვის ხე. დედა დაწვრილებით მიყვებოდა წერილში ამ ნაძვის ხის ამბავს. თურმე, კარადაში შემთხვევით გადაწყდომია სანთლებს. მოკლე, ფერად-ფერადი სანთლები წვერწათლილ ფერად ფანქრებს ჰგავდა. აუნთია და ოთახში სტეარინისა და წიწვის ნეტარი სურნელი დამდგარა. სიბნელეში სანთლების მხიარულად მოციმციმე ალი ხან აგიზგიზდებოდა, ხანაც მიიბჟუტებოდა და მოოქროვილ კაკლებს მკრთალად ანათებდა.

მე თოვლზე ვიწექი. თავზე მძიმე ჩაჩქანი მეხურა, ჩაჩქანის ქვეშ კი შალის ზარადი მქონდა დაშვებული. ტანთ თოვლის ნაფურით დასველებული და საღამოს ყინვით გაშეშებული ფარაჯა მეცვა, გამსკდარი ჭურვების დიდრონი ნამსხვრევები ყრუდ ეცემოდა დედამიწას. აი, ერთი მათგანი მთლად ახლოს დაეცა... ანათე, ნაძვის ხევ! იციმციმეთ, მოოქროვილო კაკლებო! რა კარგია, რომ სადღაც, დედაჩემის სიახლოვეს, მაინც არის მშვიდობის კუნძული, სადაც ყველაფერი ძველებურადაა. ძველებური სიწყნარე და სიმშვიდე სუფევს. დედაც უშიშარ ადგილასაა. ერთადერთი, რაც მას აშფოთებს, — მე ვარ.

ძველი საათი წიკწიკებს, მერე რეკავს. შუაღამეა.

რაღაც გასაოცრად ქალაქის ბინაში შეპარული ჭრიჭინა მოჭრიჭინე მანქანას უზის. დიდი დათვის თანავარსკვლავედი მოპირდაპირე სახლის სახურავზე შეჩერებულა. ირგვლივ პურის სუნი ტრიალებს. სიწყნარეა. ნაძვის ხეც ჩამქრალა. ღუმელი კი ჯერ არ გაგრილებულა.

გვიან გავიგე, რომ ეს ყველაფერი მოგონილი იყო, სიკვდილის პირას მყოფმა დედამ შეთხზა ჩემთვის თავის გამოციებულ სახლში, აფეთქების ტალღებით მინებჩამსხვრეულ სახლში, სადაც აღარც ღუმელებს ეტყობოდათ სიცოცხლის ნიშანწყალი და ადამიანებიც ყუმბარების ნამსხვრევებით იხოცებოდნენ. ის კი, მომაკვდავი, მაინც წერდა. ალყაში მოქცეული გაყინული ქალაქიდან, თავისი სითბოს ნაწილს, უკანასკნელ ამოსუნთქვას მე მიგზავნიდა.

ის განა მარტო შიმშილობდა. მოუსავლიანობით გამოწვეული შიმშილით როდი იტანჯებოდა. მას შიმშილის ყუმბარებს უშენდნენ. ეს იყო სასიკვდილო შიმშილი, ფაშისტური შიმშილი, შიმშილი — დაბომბვა, შიმშილი — ხანძარი.

მე კი, სულელმა, დავუჯერე გამონაგონს. ვებღაუჭებოდი ამ ხელუხლებელ მარაგს, ჩემს სარეზერვო სიცოცხლეს. ძალზე ყმაწვილი ვიყავი საიმისოდ, რომ სტრიქონებს შორის სინამდვილე ამომეკითხა-



ხა. ვერც ძალაგამოლეული ხელით ნაწერ დაბრეცილ ასოებს ვამჩნევდი. ამ ხელისათვის კალამი ნაჯახივით მძიმე იყო, მაგრამ იგი მაინც წერდა, ვიდრე ძალა შესწევდა.

ბოლო წერილი მაისში მივიღე...

თუ ჭიდან ხშირ-ხშირად იღებ წყალს, ჭა კამკამაც ხდება და წყალუხვიც. ქვევიდან ღრმად გაჭრილი მიწის სურნელიც გცემს და ნაქური თოვლის სურნელიც. ჭიდან ამოღებული წყლის ყოველი ყლუპი სასიამოვნოდ კლავს წყურვილს და სიმხნევეს გმატებს. დილაობით მისი ფსკერიდან მზე ამოცურდება ხოლმე, საღამოთი კი ისევ ჩაესვენება. ასე ცოცხლობს ჭა.

მაგრამ თუ მრუმე ლაკვანაში ვედრო არ რაკუნობს და ჯაჭვის რგოლები ლარივით კი არ იჭიმება, არამედ უმოქმედობისაგან ჟანგი მოჰკიდებია, თუ აღარც ოწინარი ჭრიალებს და დაღვრილი წყლის წვეთები ვერცხლის ფულებივით უკანვე არ ცვივიან მოგუგუნე ქვესკნელში, ჭას ხავსი ედება და შრება, იგი კვდება.

მტრის შემოსევასთან ერთად მკვდარი ჭებიც მომრავლდა. ისინიც ადამიანებივით ეთხოვებოდნენ სიცოცხლეს და მიწამიუყრელ საფლავებს ემსგავსებოდნენ.

ახლა ჭები გაცოცხლდნენ, ისინი ადამიანებმა — მკვდრების ნაცვლად მოსულმა ადამიანებმა გააცოცხლეს. მხიარულად წკრიალებენ ვედროები, ბრწყინავენ ჯაჭვები, რომლებსაც მწყურვალი კაცის შეხებამ ჟანგი გააცალა. ჭები წყურვილს უკლავენ ადამიანებს, საქონელს, დედამიწას, ხეებს. ჭის წყალი ესხურება აბანოთა გავარვარებულ შავ ქვებს და სულის შემხუთველი ოხშივარი თავის სუფთა საქმეს აკეთებს, ცოცხლად შეკრულ არყის ხის სურნელოვან, შემჭკნარ რტოებს ნამავს.

ეჰ, ჭები კი გამოცოცხლდნენ, მაგრამ ვინც ბრძოლაში დაეცა, მას ვეღარაფერი გააცოცხლებს.

ცივი, მძიმე ვედრო ავიღე და ის იყო, პირთან უნდა მიმეტანა, რომ უეცრად შიგ ჩემი თავი დავინახე, აი, ისეთი, როგორიც პატარაობისას ვიყავი: უშნო, თმაგაუკრეჭავი და ცხვირგადაყვლეფილი. წყლით სავსე ვედროდან ჩემი გაუხარელი ბავშვობა შემომცქეროდა. ხელი ამიკანკალდა და წყლის ზედაპირი დანაოჭდა — ჩემი ორეულიც მაშინვე დამეჭყანა. იგი დასცინოდა სოლიდურ, ზრდადასრულებულ ქალაქელს.

წყალი მაინც მოვსვი. ბიჭმაც მოსვა. ასე ვსვამდით ორივენი გემრიელ ჭის წყალს, თითქოს ერთმანეთს ვეჯიბრებოდით.

უცებ გავბრაზდი. სიამოვნებით გამოვცლიდი მთელ ვედროს, ოღონდ ის ბიჭი აღარ დამენახა. მაგრამ მეტის დალევა აღარ შემეძლო — კბილები მომეკვეთა. მოვიქნიე ვედრო და მთელი წყალი უნებურად იქვე მდგარ ქათამს გადავასხი. ქათამი უკმაყოფილოდ აკრიახდა და იქაურობას გაეცალა. ორეული კი მაინც ვერ მოვიშორე. სოფლის გზაზე რომ მივაბიჯებდი, ისიც თითქოს გვერდით მომყვებოდა.

უცებ ვიგრძენი, რომ დიდი ხანია, ერთხელაც არ გამხსენებია წარსულის ამბები. ადამიანებმა, რომელთა გვერდითაც ოდესღაც ვცხოვრობდი, სადღაც სივრცეში გადაინაცვლეს და მათი სახეებიც კი წარიხოცა ჩემი მეხსიერებიდან. გაჩნდა უფსკრული, სიცარიელე, რომელიც უკვე მაწუხებდა. ახლა კი ამ გაბურძგნილმა და ცხვირგადაყვლეფილმა ბიჭმა წარსული მომიახლოვა. სულ პატარა ამბავიც კი გამახსენა ჩემი ბავშვობისა.

გამახსენდა, ხის მერხზე დაგებულ თივის ლეიბზე დაწოლილი როგორ ვიცქირებოდი ხის მორებშუა ღრიჭოებში, გამახსენდა ჭიკარტებით მიჭედილი ფარდები, მოქლონის სახელურიანი ღუმელი. იატაკის ფიცრების ჭრაჭუნიც კი ჩამესმა — თითოეული სხვადასხვა ხმას გამოსცემდა, — თითქოს ეს დაძველებული, დამსკდარი ფიცრები რომელიღაც საიდუმლო ინსტრუმენტის კლავიშები იყო. ჩემს ყნოსვას თითქოს შემთბარი რძის სუნიც მოსწვდა — ცხიმიანი, მომჟავო-მოტკბო სუნი, რომელიც მოულოდნელად გამოვარდებოდა ხოლმე ღუმელიდან და ყველა სხვა სუნს აძევებდა.

დედაც დავინახე, ჭასთან იდგა დაორთქლილი ვედროებით ხელში და მზის ჭილოფისფერ სხივებში ცურავდა...

პაპაჩემი, ალექსეი ივანეს ძე ფილინი, წარმოშობით ბელოე ოზეროდან იყო. თორმეტი წლისა ჩასულა პიტერში და მერე უკან, სოფელში აღარ დაბრუნებულა. ბევრს მუშაობდა, მაგრამ ცხოვრება მაინც უჭირდა. რევოლუციის შემდეგ შრომის გმირი გახდა. ქალაქში ცხოვრებამ მაინც ვერ ამოძირკვა მასში სოფლის სიყვარული. ნაღვლიანად გაიხსენებდა ხოლმე ბელოე ოზეროს რძესავით წყალს, ფუტკრებს, ცხენებს, იმასაც, როგორ ხდიდნენ სოფელში დიდ კასრებში შინაურ ლუდს. ზოგჯერ შეზარხოშებული, თავის სიტყვაძუნწ სოფლურ სიმღერებსაც წაიღიღინებდა ხოლმე...

მე და დედა ყოველ ზაფხულს სოფელში ვატარებდით.

ქალაქელი კაცი მიწას თითქმის ვერ ხედავს, ქალაქში მიწა ან ქვის ფილებითაა დაფარული, ანდა ასფალტის ლავით. თვით მიწა კი — შავი თუ ყავისფერი, წითელი თუ მოვერცხლისფრო, სუნთქვაშეკრული ზედაპირიდან ძლიერ ღრმადაა განაბული. ქალაქელმა კაცმა არ იცის, როგორი სუნი აქვს მიწას, არ იცის, რომ იგი წელიწადის სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად სუნთქავს, რომ უწყლობისაგან ისიც იტანჯება, არ იცის, როგორ ბადებს პურს. ქალაქელი კაცი ვერ გრძნობს, რომ მისი სიცოცხლე და კეთილდღეობა მთლიანად მიწაზეა დამოკიდებული. ქალაქელ კაცს არც მშრალი ზაფხული აწუხებს და არც დიდთოვლობით ხარობს. ის კი არა, მიწისა ზოგჯერ ეშინია კიდეც, რაღაც გაუგებარ, უცნობ სტიქიად თვლის. აი, სწორედ ამ დროს იღვიძებს შენს სულში მინაბული, თანდაყოლილი მამაშვილური სიყვარულის გრძნობა მიწისადმი.

სოფელში მე და დედა ფეხშიშველა დავდიოდით. ჯერ მიჭირდა, მაგრამ ფეხისგულებზე ბუნებრივი ლანჩები რომ ამომეკრა, ჩხვლეტას უკვე ვეღარ ვგრძნობდი. ამ ლანჩებმა კარგი სამსახური გამიწიეს — არც მეხეოდა და არც მიცვდებოდა. მართალია, ზოგჯერ იოდი მჭირდებოდა, დაძინების წინ კი ფეხის დაბანა, მაგრამ მერე რა...

დედა ისე მაჩვევდა დედამიწას, როგორც ფრინველი აჩვევს თავის ბარტყს უკიდეგანო ცას, თეთრი დათვი თავის ბელს — ზღვის სივრცეს. ჩემს თვალწინ შავი მიწა ჯერ მწვანით იმოსებოდა, მერე მქრქალ ცისფერს გადაიკრავდა, ბოლოს ბრინჯაოსფრად აბრწყინდებოდა — ასე იბადება სელი. მე და დედა სელს ვგლეჯდით. დედაჩემს სოფლელი ქალივით თავზე თეთრი თავსაფარი წაეკრა და მარჯვედ გრეხდა ჩალიჩს, ანდა პატარ-პატარა ძნებს კრავდა.

ხანდახან ძროხა ლისკას მომწყემსვას მავალებდნენ. მეც მეტი რა გზა მქონდა, დილაუთენია უნდა ავმდგარიყავი და ძროხა საბალახოდ წამეყვანა. მივაბიჯებდი ნამიან ბალახზე და თან ლისკაზე ვბრაზობდი, მინდოდა სახრე გადამეჭირა... ის კი ნელა, ღირსეულად მიაბიჯებდა შინნაკეთი თუნუქის ეჟვნის ჟღარუნით.

მაგრამ გავიდოდი თუ არა მინდორში, ლისკაზე გული მომიბრუნდებოდა ხოლმე, მივეკვროდი თბილ ფერდზე და ვთბებოდი. ზოგჯერ ველაპარაკებოდი კიდეც, რაღას არ ვუყვებოდი. ლისკა არ მაწყვეტინებდა, შეეძლო საათობით ესმინა და უხმოდ ექნია თავი.

ლისკას დიდი, მსხვილი თავი ჰქონდა, ფართო, წყლიან თვალებში რაღაც ნაღველი ედგა. ზოგჯერ იგი უჩუმრად მომეპარებოდა ხოლმე და ვარდისფერ დრუნჩს ლოყაზე მომადებდა. ხმიერად, თბილად სუნთქავდა. ისე მეპყრობოდა, თითქოს ხბო ვიყავი.

ზოგჯერ ლისკა განსაკუთრებულად მიყვარდა. ასეთ წუთებში იგი ისეთ ადგილებში მიმყავდა, სადაც უხვად იყო სამყურა და ბარდა. მოვნახავდი ღრმა ღრანტეს, ჩავიდოდი ციცაბო ფერდობზე და გემრიელ, ნორჩ ყლორტებს ვუგლეჯდი. შემდეგ ავიღებდი ფუტურო ხის ნატეხს, ჩავდებდი კონსერვის ქილაში და ცეცხლს წავუკიდებდი. მერე ამ აკვამლებულ ქილას ლისკას გარშემო ვაქნევდი, რომ ბზიკები და ბუზანკალები მომეგერიებინა. ამ დროს ლისკა წმინდა ცხოველს ჰგავდა, მე კი — საცეცხლურიან ღვთისმსახურს. მერე ლისკას გაყიდვა მოგვიხდა. როცა ეზოდან გაჰყავდათ, დავინახე, ტიროდა. ყველაფერი ესმოდა და წუხდა. აი, მაშინ მივეცი ჩემს თავს სიტყვა, როცა გავიზრდებოდი და ფულს ვიშოვიდი, ლისკა გამომესყიდა.

და ახლა ამ გაუკრეჭავმა და ცხვირგადაყვლეფილმა ბიჭმა, ვედროდან რომ დაცინვით შემომცქეროდა, სწორედ ეს შეუსრულებელი დაპირება გამახსენა. იგი უხმოდ, მიუტევებლად მსაყვედურობდა, ლისკას რომ დაპირდი, გავიზრდები და გამოგისყიდი, რატომ მოატყუეო...

სხვაც ბევრი რამ გამახსენა ჩემმა უშნო ორეულმა.

მახსოვს ერთხელ დედას ვკითხე:

— დედიკო, ჩემი გული ანათებს?

გულმა როგორ უნდა გაანათოსო? — გაუკვირდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე კი მართლა ვნახე განათებული გული. ჩვენი სოფლის განაპირას სამჭედლო იყო. იქიდან ნიავს გამუდმებით მოჰქონდა კვამლის სუნი. დროდადრო სამჭედლოს წკრიალა დარტყმის ძალა შეარყევდა ხოლმე. ხრინწიანად ქშინავდნენ საბერველები და ღუმელში ნელი სტვენით ღვივდებოდა ნაკვერცხლები.

წელამდე შიშველ მჭედელს გაოფლილი კანი ულაპლაპებდა. სველ მკერდზე ქურიდან ამოვარდნილი ალი ირეკლებოდა. მოიქნევდა მჭედელი უროს, მთელი ტანით უკან გადაიხრებოდა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, გავარვარებულ რკინის ნაჭერს დასცხებდა. ყოველ მოძრაობაზე ალის ანარეკლი ისე თრთოდა, რომ ვიფიქრე, ეს გული ანათებს, მკერდში ანთია და იქიდან აშუქებს-მეთქი.

მე დედას დავანახე ანთებული გული.

— ხომ ხედავ? — ვკითხე ჩურჩულით.

— ვხედავ.

— რისგან ანათებს ასე?

დედა ჩაფიქრდა და მერე წყნარად თქვა:

— შრომისაგან.

— მე რომ ვიმუშაო, ჩემი გულიც ასე გაანათებს?

— აუცილებლად, — მითხრა დედამ.

მაშინვე შევუდექი საქმეს. შეშაც მოვზიდე, თივაც ავაბულულე, წყლის მოტანის სურვილიც კი გამოვთქვი. და ყოველთვის, როცა რომელიმე საქმეს მოვრჩებოდი, დედას ვეკითხებოდი:

— ანათებს?

დედა თავს მიქნევდა.

ჩემმა გაუკრეჭავმა და ცხვირგატეხილმა ორეულმა ისიც გამახსენა, ერთხელ მიწაზე დაგდებული ყუმბარის ნამსხვრევი რომ ვიპოვე და დედას ვაჩვენე:

— ნახე, დედიკო, როგორი ქვაა!

— ეს ქვა კი არა, ყუმბარის ნამსხვრევია, — ამიხსნა დედამ.

— ყუმბარა გატყდა?

— კი არ გატყდა, გასკდა და ნამსხვრევები ირგვლივ მიმოიფანტა.

— რატომ?

— ხალხის მოსაკლავად.

ნატეხი მოვისროლე და შიშით გავხედე.

— ნუ გეშინია, ეს უკვე ველარავის მოკლავს. თვითონაა მკვდარი, — თქვა დედამ.

— საიდან იცი?

— მე ხომ მოწყალების და ვიყავი.

დედას ისე შევხედე, თითქოს პირველად ვხედავდი. ვერ გამეგო, რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა მოწყალების დას დედაჩემთან.

აბა, რას წარმოვიდგენდი, რომ ათი წლის შემდეგ ფარაჯაში გახვეული, მუზარადჩამოფხატული, ხელში ავტომატმომარჯვებული მიწაზე ვიქნებოდი გაკრული და ჩემს ზემოთ აი, ასეთი წვეტიანი ქვები იფრენდნენ, ოღონდ მკვდრები კი არა, ცოცხლები, სიკვდილის და არა სიცოცხლის მატარებელნი.

მაგრამ მთელი არსებით მიწა მაინც ომის დროს შევიცანი. ვინ მოთვლის, რამდენი მიწა გადავთხარე ნიჩბით ამ ომში! ვთხრიდი სანგრებს, საფარებს, მიწურებს, გასასვლელებს, საფლავებს... ვთხრიდი მიწას და მიწაშივე ვცხოვრობდი. მაშინ დავრწმუნდი, რომ თუ მიხსნიდა, მიწა მიხსნიდა. როს თავზე ცეცხლის წვიმა დამდიოდა, მიწას ვეხუტებოდი იმ იმედით, იქნებ სიკვდილმა გვერდი ამიქციოს-მეთქი. მიწაც დედასავით ერთგულად მიფარავდა, ვინაიდან დედაჩემის მიწა იყო, მშობლიური მიწა.

ომამდე მიწა ასე ახლოს არასდროს მინახავს. ახლა ჭიანჭველასავით ჩავძვერი შიგ. ისიც ისე მიკვროდა ჩემს ტანსაცმელს, ფეხსაცმელის ლანჩებსა თუ ნიჩაბს, თითქოს ერთიანად დამაგნიტებული ვიყავი, ის კი რკინისა იყო. მიწა იყო ჩემი თავშესაფარი, ჩემი საწოლი და მაგიდა. იგი ხან გრიალებდა, ხანაც მიყუჩდებოდა. დედამიწაზე ცხოვრობდნენ და იხოცებოდნენ, დაბადებით კი იშვიათად იბადებოდნენ.

ერთხელ, მხოლოდ ერთადერთხელ ვერ დამიფარა მიწამ.

როცა გამოვერკვიე, ფორანზე დაგებულ თივაზე ვიწექი. ტკივილს არ ვგრძნობდი, მხოლოდ არაადამიანური წყურვილი მახრჩობდა. სწყუროდა ჩემს ტუჩებს, თავს, მკერდს, ყოველივე ცოცხალს, რაც ჩემში არსებობდა. ასე სწყურია წყალი ცეცხლწაკიდებულ სახლს. წყურვილისაგან ვიწოდი.



უცებ თავში გამიელვა, ერთადერთი ადამიანი, ვისაც ჩემი ხსნა შეუძლია, დედაა. გამახსენდა დავიწყებული ბავშვური ჩვევა, ავად გავხდებოდი თუ არა, დედას გვერდიდან აღარ ვიშორებდი. იგი მიქლავდა წყურვილს, მიყუჩებდა ტკივილს, მამშვიდებდა და მუდამ მჯეროდა, რომ უეჭველად გადამარჩენდა. ახლაც დედას მოვუხმე.

ფორანი რახრახით მიდიოდა გზაზე და ჩემს ხმას ახშობდა. წყურვილმა კი უკვე ტუჩები ამიკრა. მაინც რაც ძალა და ღონე მქონდა, იმ ერთ დაუვიწყარ სიტყვას ვჩურჩულებდი: — დედიკო, დედიკო... ვეხვეწებოდი, მოსულიყო. ისე ვევედრებოდი, როგორც ღმერთს, ღვთისმშობელს, დედაქალს, დედას ევედრებიან ხოლმე.

ვიცოდი, რომ ბოლოს და ბოლოს გავაგონებდი და იგი უეჭველად მოვიდოდა. მოვიდა კიდეც. იმ წუთში გრუხუნი მიყუჩდა და ცივი, მაცოცხლებელი სითხე ხანძრის ჩაქრობას შეუდგა: წყალი მეღვრებოდა ტუჩებზე, ნიკაპზე, ჩამდიოდა საყელოში. დედას კი ფრთხილად ეჭირა ჩემი თავი, ტკივილი რომ არ მეგრძნო. მასმევდა წყალს და სიკვდილს მარიდებდა.

ვიგრძენი ნაცნობი ხელების შეხება, ნაცნობი ხმაც გავიგონე:

— შვილო... ჩემო შვილო...

თვალის გახელა არ შემეძლო, მაგრამ დედას ვხედავდი. ვგრძნობდი მისი ხელის სითბოს, მის ხმას. მისმა მოწყალე გულმა გამომაცოცხლა, ტუჩები გაიხსნა და მე დავიჩურჩულე:

— დედა, დედიკო...

რამდენი რამის თქმა მინდა, სიტყვებმა ლამისაა გული გამიხეთქოს, საფეთქლები მტკივა. სიტყვები დღის სინათლისაკენ, ქაღალდზე გადმოსაღვრელად მოიწევენ, მაგრამ ჯერ უმწიფარი არიან, მკვახენი, ადრეა მათი მოკრეფა. მეც ვიტანჯები და ველი, როდის დამწიფდებიან.

ბავშვობაში ვაშლებს დამწიფებას არ ვაცლით, ისე ვჭამთ ხოლმე და სიამოვნებისაგან ვტკბებით. ახლა კი, როცა უკვე დიდი ვარ, მკვახე ვაშლები კბილსა მკვეთს.

მაგრამ, ხანდახან, სიტყვების ზედმეტ დატკბობამდე შეჩერებაც შეუძლებელია. ზოგჯერ უმწიფარ ვაშლებსა და უმწიფარ სიტყვებშიც უნდა ჰპოვოს ადამიანმა სიხარული.

დედაჩემი კი ამ დროს საძმო სასაფლაოზე განისვენებდა ალყაშემორტყმულ ლენინგრადში. ხოლო უცხო სოფელში, ჭასთან, სხვისმა დედამ დამალევინა წყალი. ალბათ დედებს რაღაც საერთო აქვთ და როცა ერთს არ შეუძლია, მიეშველოს დაჭრილ შვილს, მის სასთუმალთან სხვა დედა დგება.

დედა, დედიკო...

ოჰ, რა იოლად ვღებულობთ ბავშვობაში მსხვერპლს დედისაგან, ვღებულობთ კი არა, გამუდმებით ვთხოულობთ. და ეს რომ სისასტიკეა, ამას მოგვიანებით ვხვდებით, როცა საკუთარი შვილებიც ასევე გვექცევიან.

„ოქროს ხანა“ დიდხანს არ გრძელდება. მას მკაცრი დღეები სცვლის, როცა ჩვენ უკვე დამოუკიდებლად ვგრძნობთ თავს და თანდათან ვშორდებით დედას, წარსულს ბარდება მშვენიერი მანდილოსანიც და პატარა რაინდიც, ხოლო თუ ეს რაინდი მაინც განაგრძობს არსებობას, მას უკვე სხვა მშვენიერი მანდილოსანი ჰყავს — კიკინებიანი, ჭირვეულად ტუჩაბზუებული, მელნით კაბადალაქული გოგონა.

მახსენდება, ერთ-ერთ მკაცრ დღეს სკოლიდან მშიერი და დაღლილი მოვედი. ჩანთა მოვისროლე, პალტო გავიხადე და მაშინვე მაგიდას ვეცი. თეფშზე ერთი ნაჭერი ვარდისფერი ძეხვი იყო. მაშინვე გადავსანსლე და არ მეყო-მეთქი, ვუთხარი დედას. მას არაფერი უთქვამს. ისევ გავიმეორე. მაშინ იგი ფანჯარასთან მივიდა და ჩემსკენ არ მოუხედავს, წყნარად თქვა...

— მეტი... არ არის.

მადლობის უთქმელად რომ ავდექი მაგიდიდან, ეს არაფერი. ხან რა გავაბრახუნე ოთახში და ხან რა. დედა კი ისევ ფანჯარასთან იდგა და არაფერს ამბობდა. მივედი და მეც გავიხედე, მაგრამ ისეთი არაფერი შემიმჩნევია.

გაჯავრებულმა გავიჯახუნე კარი და წავედი. ესლა აკლდა!

იმაზე საშინელი რა უნდა იყოს, დედას რომ საჭმელსა სთხოვ, მას კი არა აქვს და არც შოვნა შეუძლია. თავისი უკანასკნელი ლუკმაც შენ დაგითმო... იმ წუთში შეგიძლია გაჯავრდე და კარიც გაიჯახუნო, მაგრამ გაივლის წლები და სინდისი უეჭველად დაგქენჯნის. გულისტკივილით გაიფიქრებ, რა საშინელი უსამართლობა ჩავიდინეთ. იმ სამარცხვინო დღეზე ფიქრი მაშინაც არ მოგასვენებს, როცა დედა ამქვეყნად აღარ იქნება. პირშეუკრავ ჭრილობასავით ეს ფიქრიც ხან მიყუჩდება, ხან დროდადრო თავს მაინც შეგახსენებს. გულდამძიმებული ბევრჯერ სინანულით შესთხოვ წარსულს: მომიტევეო, მაგრამ პასუხს ვერ მიიღებ, ვინაიდან ქვეყნად აღარ არის ის, ვინც იმ ერთადერთ სანატრელ სიტყვას წარმოსთქვამს: მიპატიებია.

მახსენდება, ფანჯარასთან რომ იდგა, დედას ოდნავ უთრთოდა მხრები, უხმოდ თუ ტიროდა. მაგრამ მაშინ ამისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. არც იატაკზე დატოვებულ ნაფეხურებს შევუწუხებივარ და არც მიჯახუნებული კარის ხმა მისწვდენია ჩემს ყურთასმენას. ახლა კი ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მესმის. დრო მიდის და ყველაფერი თან მიაქვს, მაგრამ ეს დღე და ბევრი სხვაც კი დამიახლოვა.

დედიკო, მაპატიე, ძვირფასო!..

ძველებურ ქოხებში ხშირად მინახავს ჩამუქებული ხატები, რომლებზეც ქალია გამოსახული ბავშვით ხელში. ქალი სევდიანიცაა და მოღიმარიც, ბედნიერიც და უბედურიც, შეშფოთებაც ეტყობა სახეზე. ესენი განა მართლა ხატებია, არა, დედების პორტრეტებია, — ამქვეყნიდან წასული, თუ ცოცხალი დედების პორტრეტები.

ბევრი რამ მსმენია ქალების გმირობაზე: ბრძოლის ველიდან დაჭრილი მეომრები გამოჰყავდათ, კაცების მაგიერ მუშაობდნენ, საკუთარ სისხლს აძლევდნენ, ოღონდ ბავშვებს ეცოცხლათ, ციმბირის გზასაც დაადგნენ ქმრების კვალდაკვალ. მაგრამ არასოდეს ფიქრადაც არ მომსვლია, რომ ყოველივე ამას რაიმე საერთო ჰქონდა ჩემს საკუთარ დედასთან, წყნარ, მორიდებულ, ჩვეულებრივ ქალთან, რომლის ერთადერთი საზრუნავი ის იყო, სასმელ-საჭმელი არ მომკლებოდა, ჩასაცმელიც მქონოდა და დასახურიც, დავეცავი ყველაფრისაგან...

ახლა, როცა მის ცხოვრებას ვავლებ თვალს, ვხედავ, თურმე რაღა არ გადაუტანია დედას, მაგრამ მე ეს მოგვიანებით დავინახე. მართალია. დაგვიანებით, მაგრამ მაინც დავინახე...

საოცრად ლურჯი ცა დამნათოდა თავზე — ნეტა რა უნდა-მეთქი ასეთ ფირუზისფერს ჩრდილოეთის ქალაქში, — ვფიქრობდი. უეცრად პატარა, ნაპირებ-წამახული თალხი ღრუბელი გამოჩნდა ცაზე, გადაუარა სახლებს და ერთბაშად დატრიალდა. ყინულის სუნთქვა ვიგრძენი. წუთიც და უკვე ყინულის თეთრ ბადეში ვიყავი გახვეული. გამეტებით ვიქნევდი ხელებს, მაგრამ ვერაფრით თავს ვერ ვაღწევდი. ირგვლივ ერთი გუგუნ-გრიალი იდგა, ყველაფერი კვნესოდა, ტრიალებდა. წვრილი ხოშკაკალა სახეში თუ ხელებზე გამეტებით მირტყამდა. უცებ ბადეში ყვითელმა, ფერგამკრთალმა მზემ გაიელვა, გაება! ამ დროს გრგვინვაც გაისმა და მზე ჩაქრა. მაგრამ ეს მზე კი არა, ზამთრის ელვა იყო, თოვლიანი ელვა.

ღრუბელი კი სულ წინ მიიწევდა. მთელი ქალაქი ყინულის ბადეში გახვია და ახლა ამ ბადეს ეწეოდა და ეწეოდა, ფეხზე აღარაფერს ტოვებდა. მზეც უეცრად გამოანათებდა და ისევ ქრებოდა. ქალაქში ერთი ზრიალ-გრიალი იდგა.

კიდევ ერთხელ რომ გაანათა, გამოჩნდა წარწერა სახლის კედელზე: „საარტილერიო დაბომბვის დროს ქუჩის ეს მხარე უფრო საშიშია“.

მე მეორე მხარეზე გადავედი...

პისკარიოვის სასაფლაოზე ბალახი ბიბინებს. პისკარიოვის სასაფლაოზე ფართო საფლავებია, დიდი, საერთო, საერთო-სახალხო მწუხარებით აღსავსენი. დედაჩემიც აქ ასაფლავია.

არც რაიმე საბუთი დარჩენილა, არც მოწმეა ვინმე. არაფერი, სრულიად არაფერი, რასაც შეიძლება ფხიზელი გონება ჩასწვდეს. მაგრამ მარადიული დედაშვილური სიყვარული მაგრძნობინებს — იგი აქაა და მეც ვიხრები მიწისაკენ.

ხელით ვეფერები პისკარიოვის სასაფლაოს ბიბინა ბალახს. დედის გულს ვეძებ. შეუძლებელია, უკვალოდ გამქრალიყო. მჯერა, მიწის გულადაა ქცეული.

**თარგმნა მარინე სოხაძემ**

# სოფელი უტოლდება ქალაქს

# ჯუგა-ანი





როცა ანცელა ზედელაშვილს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევდნენ, ჯუგაანელებმა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, როგორ გამართლდებოდა მათი იმედები, მალე მიხვდნენ, რომ არჩევანში არ შემცდარან. სრულიად იცვალა სახე სოფელმა: მოიხრეშა და გაფართოვდა სასოფლო და საუბნო გზები, ზოგან კი მოასფალტდა, გზის პირზე მარადმწვანე ხეები დაირგო, შემოიღობა სასაფლაო, გაიხსნა შინმოუსვლელთა ობელისკი.

სოფელში გამრავლდა სასმელი წყლის ონკანები, კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა საბავშვო ბაღის შენობას, კეთილმოეწყო სასოფლო ბიბლიოთეკა და კლუბი, ახალ ბინაში გადავიდა საექიმო უბნის ამბულატორია.

სოფელს ამშვენებს ახლადნაგები ქვითკირის ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები, მწვანეში ჩაფლული ეზოები, ბაღჩაბაღები, ხარაჩოთა ტყეს მოგაგონებთ სახურავებზე აღმართული ტელევიზორის ანძები.

ჯუგაანი დღეს სიღნაღის რაიონში ერთ-ერთი მოწინავე სოფელია და ამაში ანცელა ზედელაშვილსაც მიუძღვის წვლილი. ყველაფერი, რაც კი მის დროს გაკეთებულა, თავდაუზოგავი შრომითა და დაუცხრომელი ძიებითაა შექმნილი. ამიტომაც დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის" ორდენით და ლენინის საიუბილეო მედლით სოფლისთვის თავდადებული ქალი.

საბჭოს თავმჯდომარე დილით მზეს ასწრებს ადგომას. სარკმელს გამოაღებს. მშობლიურ მთა-ბორცვებს სიყვარულით გახედავს. თვალი გზისაკენ გაექცევა. თანასოფლელები სამუშაოდ მიეშურებიან, თვითონაც ჩანთას იღებს და მათ გზას მიუყვება.

თენგიზ მორჩიაული



ანცელა ზედელაშვილი

თამარ ჩხაიძე

# საძირკველი

(ნაამბობი)

1925 წლის თბილისური ოქროს შემოდგომაა. ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის სტუდენტი, პარტიის სამხარეო კომიტეტისკენ მივაბიჯებ. ფეხები უკან მრჩება, მიმიღებს თუ არ მიმიღებს ამხანაგი სერგო ორჯონიკიძე; მიცნობს, თუ ვერ მიცნობს? თუ მიმიღო, ასე ვეტყვი:

— გახსოვთ, ამხანაგო სერგო, სადილის სინჯი რომ აიღეთ ჩვენთან უნივერსიტეტში. მე მაშინ იქვე ვიყავი. მორიგე გახლდით, გახსოვთ?

„ეჰ, ჩემო ძმაო, შეჭმული სადილ-ვახშამი არავის ახსოვს, სინჯი ვის გაახსენდება“ — ასე რომ მიპასუხოს, მაშინ ხომ გამისკდა მიწა და თან ჩამიტანა.

„არა, მე იმიტომ შეგბედეთ, ამხანაგო სერგო, რომ თქვენ მითხარით: თუ რაიმე გაგიჭირდეს, აქვე ვარ, ყურისძირშიო — ეს უნდა მოვაგონო. არა, არაფერი არ უნდა მოვაგონო“. ამ ფიქრით შევედი სამხარეო კომიტეტში და სერგოს კაბინეტის კართან დავიწყე ყოყმანი: შევიდე თუ არა...

— ჰე, შემოდი, შემოდი, ნუ მომიყვან კართან! — მომესმა სერგოს ხმა.

კარი შევაღე და შევიხედე:

— ამხანაგო სერგო, შეიძლება?

— ბიჭო, სტუდენტი ხარ და ვერ წაიკითხე — „მიღება ყოველ დღე“?

ფეხაკრეფით შევედი. თავი მოწიწებით დავუკარი.

— დავით ბრაგვაძეს ვახლავარ. თიანეთური ხინკლის სინჯი ხომ არ მომიტანე, ბიჭო, ჰა!

— თიანეთელი რომ ვარ, ისიც იცით?

— ვიცი, ცოლ-შვილი რომ დაგრჩა თიანეთში, ისიც ვიცი! — გაიცინა სერგომ.

„ოი, შენ, ჩემო რეგვენო თავო, ვერ გიცნობსო — ასე რომ ფიქრობდი!“

— რას ფიქრობ ბიჭო, შინაურები ხომ არ გენატრება? — მკითხა უცებ სერგომ.

— მენატრება! — წავილუღლუღე.

— გინდა ცოლ-შვილი თბილისში ჩამოიყვანო?

— საიდან იცით!

სერგომ გაიცინა.

ეცინება, მე კი მეტირება. უპატრონოდ მიტოვებული დედა და ცოლ-შვილი მაგონდება.

— ბიჭო, რას ჩამოგტირის სახე, მზე ხვალაც ამოვა! — იცინის სერგო და რაღაცას წერს, წერს და მიღიმის, მიღიმის და მეკითხება:

როგორ ხართ ბიჭები, როგორ სწავლობთო — და ყველა ფრიადოსანი სტუდენტი ჩამოთვალა: სერგო როსტიაშვილი, სეითო რაზმაძე, შალვა ბიწაძე, შოთა სიამაშვილი, ტარასი ჭელიძე... ვუყვები მათ ამბავს და ვფიქრობ „ვილას ახსოვს ჩემი დედა და ცოლ-შვილი!“

— დავით, ჩემო, — მაწყვეტინებს თხრობას სერგო, — ეს ბარათი მიიტანე ქალაქის აღმასკომში, პატარა ნაკვეთს მოგიზომავენ, პატარა სახლი ჩადგი და დააბინავე ოჯახი!

თავი სიზმარში მეგონა, როცა ფიქრის ვორაზე ჩემს ერთოთახიან სახლს საძირკველს ვუყრიდი. თანაკურსელი მეგობრები მეხმარებოდნენ.

— ბიჭებო, სახლს რომ გადავხურავთ, დედაჩემის თიანეთური ხინკლით გაგიმასპინძლდებით, — ვპირდებოდი მათ და სანუკვარი სურვილი — ნეტავი სერგო ორჯონიკიძე გვიკადრებდეს-მეთქი — ხმამაღლა უნდა გამომეთქვა, რომ ვიღაცამ დაიძახა: სერგო ორჯონიკიძე მობრძანდებაო!

მართლაც, მანქანიდან სერგო გადმოვიდა და შავქლიავა თვალები შემოგვანათა.

— ეხმარებით, ბიჭებო, ამხანაგს? ამას ქვია კაცი-კაცითაო, მეც ჩავუგდებ ერთ ქვას ფუძეში, კომუნისტური კადრის ოჯახს — თქვა და ქვა მოიმარჯვა.

— ბატონო... ამხანაგო სერგო, — მღელვარებისაგან ენა დამება, — საიდან გაიგეთ, რომ საძირკველს ვყრიდი?

— ჩიტმა მომიტანა ამბავი! — გაიცინა სერგომ და ახლა ყველას მოგვმართა: — თქვენ ოღონდ კარგად ისწავლეთ კომუნისტებო, საახლეები კომუნიზმზე იყოს.

მერე ჯიბიდან ვერცხლის ფული ამოიღო:

— ბიჭებო, ნიკოლოზის აბაზიანი არ ვგონოთ, ჩაქუჩ-ნამგალიანია, — გაიხუმრა და ისიც საძირკველში ჩააგდო.

იმ დროიდან მოყოლებული, ხარობს ჭერი ყოფილი ანანურის, ამჟამად შიო მღვიმელის ქუჩის № 13-ში, აქ გაიზარდნენ ჩემი შვილები და შვილიშვილები, იზრდებიან შვილთაშვილები.

ისეთი 25 თებერვალი როგორ გაგვითენდება, რომ ძველი მეგობრები არ შევიყაროთ.

— დათიკო, ამ სახლის ასაშენებლად სერგომ ბანკს შენთვის 100 მანეთი რომ მოაცემინა სესხად, გახსოვს? — იტყვის სეითო.

— რა დამავიწყებს!

— ყველა ჩვენი გასაჭირი რომ იცოდა — ჩიტმა მომიტანა ამბავიო, — მოიგონებს შალვა.

— ამას რა დამავიწყებს! — ვიძახით ყველა ერთად და ვსვამთ საბჭოთა საქართველოს სადღეგრძელოს, სერგო ორჯონიკიძის ნათელი ხსოვნის სადღეგრძელოს.



## პატარებისათვის

შუშანა მგელაძე

### ტია, ტია

ტია, ტია, რვა მარტია —
გადმომძახა ჩიტმა,
„გაზაფხულდა! გაზაფხულდა!“ —
მითხრა ატმის კვირტმა.

ტია, ტია, რვა მარტია —
ქარს მოჰქონდა ხმები,
და ტყემლებმაც თეთრი თავშლით
დაიმშვენეს მხრები.

სერზე დადგა გაზაფხული
უჩინარი ფუნჯით
და დახატა ყვავილები
თეთრი, მწვანე, ლურჯი.

წყაროვ, წყაროვ, სად გარბიხარ?!
ვინ გსურს გაახარო?
„ტია, ტია, რვა მარტია“ —
ატიკტიკდა წყარო.

ჩემი ფიქრი მის ტალღებთან
მინდა შევაერთო,
რომ მამულში დედის შუქი
გაუქრობლად ენთოს.

## წერილი არ გამოქვეყნებულა, მაგრამ...

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქციას განცხადებით მომართა მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანის მცხოვრებმა თამარ პაპიაშვილმა, რომელიც გვატყობინებდა, რომ არ ჰქონდა მიწის ნაკვეთი, ვერც სამსახური ეშოვნა და ეკონომიურ გაჭირვებას განიცდიდა, თან შვილიც ჰყავდა სარჩენი.

რედაქციამ განცხადება გადაუგზავნა საქართველოს კპ მცხეთის რაიკომს და სთხოვა, აღმოეჩინათ თ. პაპიაშვილისათვის დახმარება.

როგორც საქართველოს კომპარტიის მცხეთის რაიკომი გვატყობინებს, ადგილზე შესწავლილი იქნა თ. პაპიაშვილის განცხადება. შემოწმებით დადასტურდა, რომ თ. პაპიაშვილი მართლაც არსად არ მუშაობდა და არც მიწის ნაკვეთი ჰქონდა. თ. პაპიაშვილს გამოეძებნა სამუშაო — გაიგზავნა მუხრანის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში და გამოეყო საკარმიდამო მიწის ნაკვეთიც.

* * *

რედაქციამ მიიღო რესპუბლიკური გაერთიანება „საქზოოვეტმომარაგების“ მუშის თამარ ლომიძე-ძაგანაშვილის წერილი, სამსახურიდან უკანონოდ მომხსნესო — გვატყობინებდა იგი.

საჩივარი შესამოწმებლად გადაეგზავნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს. მინისტრის მოადგილემ ამხ. დ. ნიკურაძემ გვაცნობა, რომ განცხადება შემოწმდა ადგილზე და მასში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. თამარ ლომიძე-ძაგანაშვილი აღდგენილ იქნა სამუშაოზე, მასვე აუნაზღაურდა 3 თვის იძულებითი განაცდური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მისი მოუღალებელი წვლილი



ყოველგვარი მოღვაწეობა, თუ ის ხალხისადმი სამსახურის კეთილშობილური მიზნით არის გასხივოსნებული, უდაოდ საყურადღებო და დასაფასებელია. ხოლო თუ ამ მოღვაწეობას თან ახლავს ნიჭი და თავდადება, ასეთი მოღვაწე უთუოდ მოიმკის იმათ სიყვარულსა და პატივისცემას, ვის სამსახურადაც დამაშვრალა.

ელენე გოგოლაშვილმა ამ კანონზომიერი მიგების სიამე პირველად მაშინ იგემა, როცა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და გამომცემლობა „საბლიტგამის" მიერ საბავშვო მხატვრულ ნაწარმოებზე გამოცხადებულ კონკურსში მისმა მოთხრობამ — „ძმები" პრემია დაიმსახურა. კონკურსის ჟიური კი მეტად სოლიდური გახლდათ. „ეს მოთხრობა მეტად საყურადღებო და სერიოზული ნაწარმოებია. მასზე ბევრის თქმა შეიძლება, იმდენად ფართოდ მოფიქრებული და შინაარსობრივად მრავალფეროვანია იგი. დაწერილია კარგი, სურათოვანი ენით, მწერლური პასუხისმგებლობით. იკითხება დიდი ინტერესით". — ეს სიტყვები ჟიურის ერთ-ერთ წევრს, მწერალ გიორგი კაჭახიძეს ეკუთვნის.

მაგრამ ჭეშმარიტი სიხარული წიგნის ავტორს მისი გამოქვეყნების შემდეგ ეწვია: მოვიდა მკითხველთა მრავალი ბარათი, რომლებსაც ხელს აწერდნენ პედაგოგები, მშობლები, ბავშვები, სკოლებისა თუ ბიბლიოთეკების მთელი კოლექტივები. ზოგი წიგნის განხილვაზე იწვევდა ავტორს, ზოგიც უბრალოდ მადლობას უხდიდა.

შემდეგში შექმნილ მოთხრობათაგან, ყველაზე მეტი პოპულარობა ხვდა წილად მთის მომხიბლავი ასულის ქუთუთასა და ამაყი ჭაბუკის ზვიადის უკვდავ სიყვარულზე ამღერებულ ლეგენდას, რომელიც პირველად ჟურნალ „საქართველოს ქალში" დაიბეჭდა, შემდეგ კი ითარგმნა რუსულ, უკრაინულსა და სომხურ ენებზე.

ქართველმა მკითხველმა კარგა ხანია გულწრფელად შეიყვარა ვ. ოსეევას გახმაურებული მოთხრობა: „ვასიოკ ტრუბაჩოვი და მისი ამხანაგები". მოთხრობის სამივე წიგნი ქართულად თარგმნა ელენე გოგოლაშვილმა. თარგმანი ეს ის სფეროა, სადაც პატივცემულმა ელენემ ყველაზე მეტად გამოამჟღავნა ის ნიჭი და გატაცება, რაზეც წერილის დასაწყისში მოგახსენებდით.

როგორი ავტორიტეტით სარგებლობს პროფესიონალ ლიტერატორთა წრეში ეს თარგმანები? ამ კითხვაზე მშვენიერი პასუხია ის ფაქტი, რომ 1964 წელს, როცა უკრაინის დიდი შვილის ტარას შევჩენკოს დაბადების 150 წლისთავი აღინიშნებოდა, ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილ სპეციალურ დელეგაციას კიევში საიუბილეო საჩუქრად მიჰქონდა შევჩენკოს თოთხმეტთაბახიანი მოთხრობის („მხატვარი") ელენე გოგოლაშვილისეული ქართული თარგმანი. იგი მთარგმნელმა სპეციალურად ამ თარიღისათვის შეასრულა საზოგადოებრივ საწყისებზე.

ა. ჩეხოვის მოთხრობები, ლ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატა", ი. გონჩაროვის „ჩვეულებრივი ამბავი", ფ. ვიგდოროვას „გზა ცხოვრებისაკენ", ნ. არტიუხოვას „სვეტლანა", მ. პრილეჟაევას „ვოლგაზე", ო. კობილიანსკაიას „მიწა", უნგრელი მწერლის მ. იოკაის რომანი „გულქვა კაცის შვილები", პოლონელი მწერლის ე. ოჟეშკოს რომანები — „შეუწყვეტელი იდილია", „მარტა", იტალიელი მწერლის ლუიჯი პირანდელოს ნოველები, — აი იმ წიგნების არასრული სია, რომლებიც ე. გოგოლაშვილს სხვადასხვა დროს უთარგმნია. დიდი და კეთილშობილური მიზანი ასულდგმულებდა მუდამ მთარგმნელი ქალის ამ მძიმე, მაგრამ მეტად სასიამოვნო შრომას — ეს იყო ეროვნული ლიტერატურის გამდიდრება, შევსება. მშობლიური კულტურის გამდიდრების უდიდეს სურვილს უნდა მიეწეროს ისიც, რომ ელენე გოგოლაშვილის უშუალო ინიციატივითა და რედაქციით გამოიცა ვიქტორ ჰიუგოს ივანე მაჭავარიანისეული თარგმანი, რომელიც მეოცე საუკუნის პირველ წლებში იქნა შესრულებული და ხელნაწერის სახით ინახებოდა მთარგმნელის მემკვიდრესთან. „საბრალონის" ოთხი წიგნის გამოცემის შემდეგ, ე. გოგოლაშვილის რედაქტორობით, გამოვიდა „პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი", და ბოლოს, გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრების სერიით გამოსული ჰიუგოს ცხოვრების რომანიც ე. გოგოლაშვილმა გადმოაქართულა. „მადლობის ღირსნი არიან ადამიანები, თავიანთი შრომითა და რუდუნებით მხარში რომ ამოგვიყენეს უზარმაზარი შემოქმედება ვიქტორ ჰიუგოსი", წერდნენ პრესაში იმხანად. საზოგადოების ეს მადლობა უთუოდ ელენე გოგოლაშვილის წილიც იყო.

ასეთია ელენე გოგოლაშვილის უანგარო ღვაწლი ჩვენი ლიტერატურის გამდიდრების საქმეში. მაგრამ მასზე ნათქვამი სიტყვა სრულყოფილი არ იქნება, თუ არ აღვნიშნავთ ქალბატონი ელენეს თითქოს უჩინარ, მაგრამ ერთობ საჭირო, განსაკუთრებით ახალბედა მთარგმნელთათვის ფასდაუდებელ სამსახურს: იგი ხომ წლების განმავლობაში მუშაობდა გამომცემლობა „საბლიტგამში", 1960 წლიდან კი — გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში". მის ხელში გაიარა ახალგაზრდა მთარგმნელთა მთელმა თაობამ. როგორი იყო მათთვის ელენე გოგოლაშვილი? — „მე მან ნამდვილი დედობა გამიწია, დედასავით მოამაგე და მზრუნველი იყო ჩემთვის, როგორც მთარგმნელისათვის, როგორც რედაქტორისათვის", — ამბობს ამჟერად უკვე საკმაოდ ხელგაწაფული მთარგმნელი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" რედაქტორი ლია იმერლიშვილი.

ამ სიტყვებს ბევრი გაიმეორებს, გაიმეორებს ყველა, ვისაც თავისი ნამუშევარი მოკრძალებით წარუდგენია ელენესათვის.

მ. კობერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საუბარი საახალწლო მაგიდასთან ფინჯან ჩაიზე



მარინე კოზიაშვილი,

**ლენინური კომკავშირის პრემიის ლაურეატი, სსრკ 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი:**

— მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ჟურნალის საშუალებით მადლობა გადავუხადო ყველას, ვინაც გაიზიარა ჩემი დიდი სიხარული და მომილოცა ეს მაღალი ჯილდო. მინდა ვთხოვო მათ, რომ ნაკლები ილაპარაკონ ჩემს მიღწევებზე, ჩემს ინიციატივასა და შემოქმედებაზე, რაც მოვახმარე მეცხრე ხუთწლედის სამ წელიწადსა და ? თვეში შესრულებას.

წუთის დაკარგვა არ შეიძლება უქმად. ამ შეხვედრებსა და მოლოცვებს კი სამუშაო დროის ნაწილი მიაქვს. მას არ უნდა მიეცეს სისტემატური ხასიათი, თორემ ჩაგვივარდება ვალდებულება, შევრცხვებით.

ჩვენ ვივალდებულეთ 1975 წელს ჩავაბაროთ ზეგეგმითი პროდუქცია და დავიმსახუროთ საუკეთესო ხარისხის ბრიგადის სახელი, დავეუფლოთ სამ მომიჯნავე პროფესიას, მოვამზადოთ 12 მოსწავლე. გაგაცნობთ ბრიგადის წევრებს: ვალენტინა არველაძე, მარინა კალანდაძე, თამარ ლომსაძე, თამარ ოსიპოვა. ჩვენ ყოველდღიურად გადამეტებით ვასრულებთ გეგმებს, ასის ნაცვლად ვაწყობთ ასორმოცდაათ რელეს. ეს მარტო წუთის დაზოგვის შედეგი კი არ არის, არამედ — შრომისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულებისაც. ბრიგადის წევრებმა სრულყვეს საწარმოო პროცესები, ყველამ მოვიპოვეთ პირადი დამღით მუშაობის უფლება და „ხარისხის ფრიადოსნები“ გავხდით.



ლია შეწირული,

**თბილისის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი:**

— ყველაზე დიდი სიხარული წელს ჩვენთვის ის არის, რომ სკოლის შენობა განახლდა და გარემონტდა. 1830 წელს დაარსებული ვაჟთა I გიმნაზია, რომელიც 1902 წელს კეთილშობილთა სასწავლებლად გადაკეთდა, დღეს თბილისის პირველი საშუალო სკოლაა. ახლახან ჩატარებული რეკონსტრუქციის შედეგად სკოლას პირვანდელი სახე დაუბრუნდა. გაიხსნა მისი თაღები, რომლებიც დაამშვენა ნიკოლოზ ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის, ვახტანგ ორბელიანის, კოტე მარჯანიშვილის და სხვა გამოჩენილ პიროვნებათა პორტრეტებმა. მათ აქ უსწავლიათ, აქ მიუღიათ განათლება და ახლაც ჩვენთან არიან. გამოვიყენეთ სარდაფი, გავაკეთეთ ბუხარი. აღვადგინეთ ძველი თონე. მოსწავლეები აგროვებენ მასალებს სკოლის მუზეუმისათვის, რომელიც მალე გაიხსნება. 9 მაისისათვის გავხსნით დიდების მუზეუმს და სტენდზე წარმოვადგენთ სამამულო ომში დაღუპულ ჩვენს ყოფილ მოსწავლეებს. სკოლის წითელი კვალის მაძიებლები გაცხოველებით ეძებენ დაღუპულთა კვალს. დიდ დახმარებას გვიწევს ჩვენი შეფი, რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, გვეხმარებიან ჩვენი სკოლის ყოფილი პედაგოგები, განსაკუთრებით, რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ბაბო მჭედლიძე.

...ლია შეწირული მეორე წელია სკოლის დირექტორად მუშაობს. აქ ბევრი სიახლე დაინერგა. სკოლა ნაწილობრივ ექსპერიმენტულ სწავლებაზეა გადასული. აქვთ კეთილმოწყობილი სასწავლო კაბინეტები. შეიქმნა ნიკოლოზ ბარათაშვილის და ილია ჭავჭავაძის სახელობის ლიტერატურის კაბინეტები. მერვე კლასში ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლებაა. კლასს ამეცადინებს ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი კობა იმედაშვილი. ქართული ენისა და ლიტერატურის გაძლიერებული სწავლებაა აგრეთვე მე-9, მე-10 კლასებში. მე-9 კლასის პედაგოგია ბაია ფუთურიძე, მე-10 კლასისა — ეთერ ტაბიძე. სკოლას მოწვეული ჰყავს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დოცენტი ნინო თოფურიძე, რომელიც ფიზიკასა და მათემატიკაში ამეცადინებს პარალელურ მერვე გაძლიერებულ კლასს.

ბავშვებმა შეიყვარეს დირექტორის საგანი — ისტორია. მისი ყოველი გაკვეთილი მომზადებული და საინტერესოა.

დირექტორის დამოკიდებულება მოსწავლეებისადმი ლმობიერია. ყოველთვის მომღიმარსა და თავაზიანს, სიმკაცრე და უხეშობა დაუშვებლად მიაჩნია. თუ მოსწავლე რაიმეს აშავებს, დირექტორი ყოველთვის ეძებს მის ახსნას. ასეთია მისი აღზრდის მეთოდი, რომელიც თითქმის ყოველთვის კარგ შედეგს იძლევა — მოსწავლე მეორედ აღარ ჩადის დანაშაულს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**თამარ თავაძე,**
**სამტრედიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე:**

— ჩვენი კოლმეურნეობა პატარაა, მაგრამ პროდუქციის წარმოებით რაიონის სხვა კოლმეურნეობებს უსწრებს წინ. მივსდევთ მესიმინდეობას, მებოსტნეობას, მესაქონლეობას. ამ ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა ბოსტნეულის მოსავლიანობა. რაიონში ადრე 6 ათასი ტონა ბოსტნეული მოჰყავდათ, აქედან 300 ტონა ჩვენს წილად მოდიოდა. გასულ წელს 15 ათასი ტონა ბოსტნეული აწარმოა რაიონმა, ჩვენმა კოლმეურნეობამ კი — 1.327 ტონა.

უნდა ვაღიარო, რომ სიმინდის მოსავლიანობით გასული წლის კმაყოფილი არა ვარ. 32 ცენტნერი ჰექტარზე ცოტაა. შეგვეძლო კი მეტი მოგვეყვანა. წელს გავითვალისწინებთ ხელშემშლელ პირობებს და სიმინდის მაღალ მოსავალს მივიღებთ.

დიდ გაჭირვებას განვიცდით საძოვრების მხრივ. საკვები კი წელიწადნახევრის სამყოფი დავამზადეთ. ფერმის მუშაკები პირუტყვის კარგი მოვლით მაღალ წველადობას აღწევენ. გასულ წელს 100 ჰექტარ სავარგულზე 510 ცენტნერი რძე და 107 ცენტნერი ხორცი მივიღეთ. თითოეული ძროხიდან, წლის მანძილზე, 2.750 ლიტრი რძე ჩამოვწველეთ. რძის და ხორცის ჩაბარების სახელმწიფო გეგმა შევასრულეთ.

კოლმეურნეობა მცირერიცხოვანია, 224 წევრს ითვლის, მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის შევასრულოთ ვალდებულებანი. გვეხმარება მექანიზაცია, უზრუნველყოფილი ვართ სასუქით, გვყავნან გამოცდილი, მცოდნე სპეციალისტები და კიდევ, რაც მთავარია, გვეხმარება ქალაქის მოსახლეობა. მოგეხსენებათ, კოლმეურნეობა ქალაქის ტერიტორიაზეა. მაღალმა ანაზღაურებამ, უფასოდ მარცვლეულის გაცემამ და სხვაგვარმა დახმარებამ ჩვენთან მოიყვანა სამტრედიაში მცხოვრები პენსიონერები, დიასახლისები, მუშა-მოსამსახურეები. მათი დახმარებით ჩვენ უფრო გაზრდილ გეგმებსაც წარმატებით შევასრულებთ.

...საკოლმეურნეო შრომის შესანიშნავი ორგანიზატორი თამარ თავაძე 33 წელია კოლმეურნეობას უდგას სათავეში. აქ რომ მოვიდა, 2[illegible] იყო. მას არ გააჩნდა მინ[illegible] მუშაობის არავითარი გამოცდილება. ახალგაზრდა ეკონომისტი სამტრედიის ძაფსალებ ფაბრიკაში მუშაობდა და დიდი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. სამამულო ომის მეორე წელს, უკაცოდ დარჩენილ კოლმეურნეობაში მოავლინეს თავმჯდომარედ. ახლაც იგონებს იმ მძიმე დღეებს, როცა ხარ-კამეჩით ამუშავებდნენ ფართობებს, არა და არც ეს გამწევი ძალა ჰყოფნიდათ.

დაოჯახდა, შვილები დაზარდა, მაგრამ ევიან ღამით შესული, ალიონზე ტოვებდა მათ. მეუღლე გამგები შეხვდა და საოჯახო საქმეშიც და შვილების აღზრდაშიც ეხმარებოდა. ისინი უკვე მოსწრებული სპეციალისტები არიან, ახლა შვილიშვილების ბებიაა თამარი, მაგრამ ვერც ბებიობამ დასვა სახლში, კვლავ ფართობებშია, იქ არის, სადაც მოსავლის ბედი წყდება, კვლავ სახელმწიფო გეგმების შესრულებაა მისი პირველი საზრუნავი.



**ქეთევან ანდრონიკაშვილი,**
**კომპოზიტორი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის მეთოდკაბინეტის მეთოდისტი მუსიკალურ აღზრდაში:**

— ჩემთვის წარმოუდგენელია შემოქმედება პატარების გარეშე. მთელი დღე მათთან ყოფნა, მათში მუსიკისადმი სიყვარულის გაღვიძება უდიდეს სიხარულს მგვრის. ჩემი უპირველესი ამოცანაა, განვუვითარო მუსიკალური სმენა პატარებს. არ არსებობს ბავშვი, მუსიკალური სმენა რომ არ ჰქონდეს, მხოლოდ საჭიროა ამ სმენის მიგნება, მისი შემდგომი სრულყოფა და განვითარება. ამას მე ვაღწევ სხვადასხვა ხერხებით, ზოგჯერ ჩემდაუნებურადაც, წინასწარ გაუთვალისწინებელი მეთოდის გამოყენებით.

ჩემი აზრით, ბავშვებში სმენისა და რიტმის გამომუშავება უნდა ხდებოდეს თანდათანობით, სისტემატურად, თანმიმდევრობით, მუსიკალური ნაწარმოებების მოსმენით, ფიზკულტურული ვარჯიშის შესრულებით მუსიკის თანხლებით, სიმღერების შესწავლით.

ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვი უსმენოდ ჩაუთვლიათ და მუსიკალურ სკოლაში არ მიუღიათ. მე მიმუშავნია ასეთ ბავშვებთან, მიმიგნია მათი სმენისათვის, დამიმტკიცებია სხვებისათვის, რომ შემცდარან და ბავშვი სკოლაში ჩაურიცხავთ. ბევრი მათგანი ახლა ცნობილი მუსიკოსია.

...კომპოზიტორი ქეთევან ანდრონიკაშვილი პატარებისთვის ქმნის სიმღერებს. აბა, რომელ ბავშვს ნახავთ, რომ მისი „განიგანი“, „ჯუჯი-ჯუჯი, წიწილებო“, „კურდღელი“, „ნუ გეშინია“, „ნუ შეშინდი, ჩიტუნია“ — არ ემღეროს. თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მე-8 საბავშვო ბაღის რიტმული ორკესტრი მისი ჩამოყალიბებულია. ბევრ საბავშვო ბაღშია მის მიერ შექმნილი მელოდიური ორკესტრი. დიდია ქეთევან ანდრონიკაშვილის დამსახურება სკოლამდელ ბავშვთა მუსიკალური სახელმძღვანელოს გამოცემის საქმეში. მან ჯემალ ბუსურაშვილთან თანაავტორობით შეადგინა აგრეთვე მუსიკალური სახელმძღვანელო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსამზადებელი კლასების მოსწავლეთათვის.

„თქვენ არასოდეს არ უნდა დაბერდეთ“ — ასე მიმართა ქეთევანს ჰავანის კონსერვატორიის რექტორმა ისააკ ნიკოლომ, როცა მის მუშაობას გაეცნო.



**ელენე დუჩიძე,**
**7 შვილის დედა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მასწავლებელი:**

— ყველაზე დიდი სიხარული მაშინ განვიცადე, როცა მეშვიდე შვილი შემეძინა. შვილები ბევრი მყავდა, ვიცოდი მათი სიყვარულის ფასი, მაგრამ რაც მეტი გყავს, მეტად ივსები და მდიდრდები. მახსოვს, მე და ჩემი მეუღლე რომ შევუღლდით, ასე გადავწყვიტეთ, ქონებას ნუ გამოვეკიდებით, ვიყოლიოთ ბევრი შვილი და ეს იქნება ჩვენი სიმდიდრეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეც მოვიქეცით, ვზრდიდით ბავშვებს, არ ვაკლებდით მშობლიურ ზრუნვას. ჩემი მეუღლე მალხაზი მათ ხის ტახტებს უმზადებდა, ხელმოკლედ ვიყავით და იმიტომ. სამაგიეროდ ყველანი ბეჭებში ლარივით არიან გაშლილი. ბავშვებს რომ ჩასაცმელ-დასახური ჰქონოდათ, კერვაშიც ხელი გამოვიღე და ქარგვაშიც. ისე ლამაზად ვქმნიდი დიდების გამონაცვლებისაგან პატარების ტანისამოსს, ახლად ნაყიდი გეგონებოდათ. საქმე ბევრი მქონდა, მაგრამ ოჯახში შრომას ვინაწილებდით. მეუღლე რომ ასეთი დამხმარე არ მყოლოდა, ალბათ მე მარტო ვერას გავხდებოდი. ბავშვების დაბანას რომ დავიწყებდით, რიგში ჩადგებოდნენ, ჯარისკაცებივით თითო-თითო მოგვიახლოვდებოდნენ და ჩემი მეუღლე წინსაფარაფარებული იძახდა: „აბა, შემდეგი“.

ერთხელ მალხაზმა დიდი ხის მაგიდა დაამზადა და თქვა, ეს სულ უნდა გავავსოთო. და მართლაც, ახლა ისე გავმრავლდით, რომ მაგიდასთან ადგილები შევავსეთ.

გვიჭირდა თუ გვილხინდა, ოჯახში ყველა საქმეს სიმღერით ვასრულებდით. სიმღერა ყველას გვიყვარს, დიდიან-პატარიანად. განსაკუთრებით გვიადვილდებოდა გაჭირვების გადატანა, ეკონომიური იყო თუ სულიერი, როცა ვმღეროდით. ჩვენს ოჯახში ახლაც სულ ისმის სიმღერა, ბავშვები ძალზე მუსიკალურები არიან და მუსიკალურ განათლებასაც იღებენ.

სამოთახიანი ახალი ბინა, რა თქმა უნდა, გვევიწროება, მაგრამ რა შედარებაა ადრინდელ ერთოთახიანთან! ბავშვები წამოიზარდნენ, ეკონომიური პირობებიც გაგვიუმჯობესდა. მალხაზი უნივერსიტეტში ეკონომიური ფაკულტეტის ლექტორია, სადოქტორო დისერტაცია მზადა აქვს, მე, უნივერსიტეტის გარდა, სოფელ საგურამოს საბუღალტრო აღრიცხვის ერთწლიან სკოლაში ვმასწავლებლობ. საგურამოში პატარა ოთახი და 1.500 მეტრი მიწის ნაკვეთი გვაქვს. მიწის და შრომის სიყვარული ბავშვებმა იქ ისწავლეს, მათ თავიანთი პატარა ნაკვეთები აქვთ და ამუშავებენ, უვლიან. ვზრდით ფრინველს, გოჭებს... ზაფხულობით ჩვენი ბაღ-ბოსტნის ნახვას არაფერი სჯობია. სოფელმა, მიწის ბარაქამ დამაზრდევინა შვილები.

— ახლა ორი ვაჟი სამხედრო სამსახურს იხდის. ქალიშვილი კონსერვატორიას ამთავრებს. მეორე ქალიშვილი უნივერსიტეტის სტუდენტია, მომდევნო გოგონა მე-10 კლასში მყავს, კიდევ მომდევნო — მეშვიდეში. ყველაზე უმცროსი ბიჭიც სკოლაში დადის. მათ ისე უყვართ ერთმანეთი. ერთ კამფეტს რომ მივცემ თანაბრად ჰყოფენ.

...ქალბატონი ელენე ენერგიული და შრომისმოყვარეა. სხვანაირად ვერ შეათავსებდა სამსახურს და შვილების აღზრდას. ხელიდან ყველაფერი გამოუდის, ცხოვრობს ძალიან გონივრულად და ოჯახს შესანიშნავად უძღვება.

საუბარი მიჰყავდა ლია კაკაბაძეს

## დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების XXX წლისთავისათვის

# „ჭივჭავი“

გოგონა არ ფარავდა აღფრთოვანებასა და სიხარულს, რაც ასე ავსებდა მას. უწყების ფრიალით შეიჭრა მაღაზიაში, სადაც დედა ეგულებოდა და ხმამაღლა გამოაცხადა:

— დედა, ფრონტზე მივდივარ!

პურის რიგში მდგარ ქალებს გული შეეკუმშათ, ისინი თანაგრძნობით შეაცქერდნენ დედას; ეს ხომ მისთვის მეტისმეტად მძიმე და მტკივნეული იყო! ამ ცოტა ხნის წინათ ვაჟიშვილი გააცილა ფრონტზე, ახლა კი ამ უსუსურს, გუშინდელ მეათეკლასელს გადაუწყვეტია ომის აბობოქრებულ ცეცხლში გადაეშვას.

ქალები შესცქეროდნენ ნინო დიმიტრის ასულის ფერწასულ სახეს და მზად იყვნენ მასთან ერთად ეტირათ, მაგრამ დედა არ ტიროდა, მან სევდიანად გაიღიმა მხოლოდ და თქვა:

— წადი, შვილო, სახლში. მეც ჩქარა დავბრუნდები და მოგამზადებ!

დედამ ომის პირველი დღეებიდანვე იცოდა, რომ ეს საათი ადრე თუ გვიან დადგებოდა, იცოდა, რადგან იზოლდა ყოველდღე დარბოდა სამხედრო კომისარიატში, თითის წვერებზე დგებოდა და ფრონტზე გაგზავნას მოითხოვდა, იცოდა, რადგან იზოლდა სწავლობდა სამედიცინო დების კურსებზე, აბარებდა ნორმებს „ვოროშილოვისებური მსროლელის“ ნიშანზე, დედა გრძნობდა, როცა ვაჟიშვილს ფრონტზე აცილებდა, ქალიშვილის გაცილების საათიც დაუდგებოდა. და კიდევაც ემზადებოდა ამისათვის: შეაკერინა პატარა ჩექმები, შეკერა და დამალა ბამბის ტანსათბურა, მოამზადა ნივთების ჩასაწყობი ტომარა...

...მეორე დილით იზოლდა კოცნიდა დედის მშრალ თვალებს და ეჩურჩულებოდა:

— არაფერია, დედიკო, მე დავბრუნდები, დავამარცხებთ ფაშისტებს და დავბრუნდები.

...ქალიშვილები ერთი ვაგონით მიემგზავრებოდნენ. გოლიათი სოფია სეროვა, როსტოვის საუკეთესო კალათბურთელი, მეგობრულად ეხვეოდა იზოლდას და ეხუმრებოდა:

— რას გააკეთებ, ჭივჭავო, მე რომ დამჭრან?

— მოგიგდებ მხრებზე და ბრძოლის ველიდან გამოგიყვან.

სოფია ხალისიანად ხარხარებდა, მას ვერ წარმოედგინა, ეს ერთი ციცქნა გოგონა თუ როგორ მოიკიდებდა ზურგზე ასეთი დიდი ტანისას.

ბედმა კი სწორედ ასე გადაწყვიტა. მაშინ არც სიცილის დრო და არც ხალისი ჰქონდათ ქალიშვილებს.

ეს მოხდა სტალინგრადის დაცვის მძიმე დღეებში, 1942 წლის სექტემბერში. იზოლდა კობაიძე უკვე სანიტარი იყო. იგი ჭრილობას უხვევდა მებრძოლს, როცა სუსტი ძახილი გაიგონა:

— ჭივჭავო!..

— სონია?! — და მასთან მიირბინა. საყვარელი მეგობრის სახე სისხლით იყო მოთხვრილი.

— ჭივჭავო, დადგა ჩემი აღსასრულის დღე! — დაიჩურჩულა დაჭრილმა.

— სონეჩკა, ძვირფასო, ცოტა მოითმინე, ყველაფერი კარგად ჩაივლის! — და იზოლდამ სწრაფად შეუხვია ჭრილობა მეგობარს. შემდეგ ფარაჯა გაიძრო, ზედ დააწვინა დაჭრილი, ფარაჯას ორივე სახელოში თასმა გაუყარა, გასკვნა, მხრებზე გადაიდო და ფრთხილად დაიძრა. სონია კვნესოდა, თავი უყანყალებდა, ნახვევიდან სისხლი ჟონავდა. მაშინ იზოლდამ სცადა ზურგზე მოეკიდა. გაუჭირდა, მაგრამ მაინც შესძლო. მიხოხავდა იზოლდა და სიმწრის ოფლი ასხამდა. ცდილობდა მეგობრისათვის ზედმეტი ტკენა არ მიეყენებინა.

სასწაულებრივად გადარჩნენ. მშვიდობიანად მიაღწიეს სამედიცინო-სანიტარულ ბატალიონამდე.

ერთი თვე გავიდა იზოლდა კობაიძის საბრძოლო ნათლობიდან. ახლა იგი ბატალიონის სანინსტრუქტორი იყო და პარტიაში იღებდნენ. პარტიული კომისიის წევრებმა ისარგებლეს დროებითი სიწყნარით და ბლინდაჟში შეიკრიბნენ. პარტორგმა კოშკარევმა მებრძოლთა განცხადებები და ანკეტები ამოიღო უბიდან, დახედა მათ და მხრები უხერხულად აწურა. ქაღალდები სისხლით იყო მოთხვრილი.

— კოშკარევ, თქვენ დაჭრილი ხართ?

— არაფერია, უბრალო განაკაწრია. აქეთკენ რომ მოვდიოდი, მაშინ მომაწიეს.

შემდეგ მან შეკრებილთ მოუთხრო 19 წლის ქალიშვილზე, რომელიც ფრონტზე მოხალისედ წამოვიდა, მის მამაცობაზე, სამშობლოსადმი ერთგულებაზე. იზოლდა კობაიძემ უკანასკნელ დროს ბრძოლის ველიდან 46 დაჭრილი გამოიყვანაო. — თქვა პოლოს მან. ქალიშვილი ერთხმად მიიღეს პარტიაში.

...ბრძოლის ველიდან დაჭრილი ჯარისკაცი

გამოჰყავდა იზოლდას. თვალწინ ცეცხლის ენები აუთამაშდა და მიწაზე უგრძნობლად დაეშვა. როცა გრძნობაზე მოვიდა, შებინტული იწვა. ჰოსპიტალში გაგზავნეს. იწვა და იტანჯებოდა. ფრონტისაკენ მიუწევდა გული. იგონებდა დაღუპულებსა და ცოცხლად გადარჩენილ ამხანაგებს, ნაღვლობდა, რომ თვითონ ჰოსპიტალში იწვა ნებიერად, ამ დროს კი მისი ფრონტელი მეგობრები მტრის ტყვიას უშვერდნენ მკერდს. ხედავდა, თუ როგორ სთხოვდნენ ჰოსპიტალში მყოფი მებრძოლები ექიმს ფრონტზე გაშვებას. იზოლდამაც ითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. გადაწყვიტა გაპარულიყო, უნებართვოდ და უდოკუმენტებოდ წასულიყო. იგი შეუმჩნევლად აძვრა შემხვედრი მანქანის ძარაზე და მშობლიურ დივიზიას მიაშურა.

ენა უძლურია გადმოსცეს ყველაფერი ამ მომცრო ტანისა და სულიერად მაღალ ქართველ ქალიშვილზე. მან მამაკაცებთან ერთად ვაჟკაცურად გაუძლო ყველა განსაცდელს, გაიარა ომის უმძიმესი გზები. იყო სანიტარული ოცეულის სანინსტრუქტორი და პარტორგი, მეავტომატეთა ოცეულის პარტორგი. სნაიპერი. დაჯილდოებულია ორი საბრძოლო ორდენითა და ექვსი მედლით.

ჰკვჰავი, როგორც მას სიყვარულით ეძახდა სოფია სეროვა, სნაიპერი გახდა 1944 წელს, ეს მოხდა ბობრუისკის ტყეებში. აქ ბრძოლები ხშირად ხელჩართულ შეტაკებაში გადადიოდა. როგორც კი ,,დროს იშოვიდა“, იზოლდა ,,სანადიროდ“ გადიოდა. შურს იძიებდა ძმისა და ფრონტელი მეგობრების დაღუპვისათვის. დუელსაც მართავდა ფაშისტ სნაიპერებთან. ერთ დღეს, მტრის სნაიპერმა ჩვენი ოცეულის მეთაური, ახალგაზრდა ლეიტენანტი მოჰკლა. ჩვენებმა შეამჩნიეს ადგილი, სადაც ფაშისტი მკვლელი იყო ჩასაფრებული. საათობით უყარაულა იზოლდამ მას, ერთმა გაუფრთხილებელმა მოძრაობამ გასცა კაცისმკვლელი და იზოლდას გასროლილმა ტყვიამ ბოლოც მოუღო.

ვოლგის ნაპირებიდან ბერლინამდე სდია ქართველმა ქალიშვილმა მტერს. მას შემდეგ წლები გავიდა, მაგრამ დრომ არ დაბინდა მოგონებები. სათუთად ინახავს იზოლდა კობაიძე ყოფილი ფრონტელების წერილებს, აი ერთი მათგანი, გვარდიის კაპიტნის — კლეტოვის წერილი!

,,ღამეა. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებენ. ფეთქდება ყუმბარები. ზრიალებს დედამიწა. სულ ახალგაზრდა ვიყავი, ცხრამეტი წლისა. ხერხემალში, ფეხში და ხელში რომ დავიჭერი. დავკარგე ბევრი სისხლი. ღონემიხდილი ვიწექი და სიკვდილს ველოდი. უეცრად თქვენ დაგინახეთ, ცეცხლის ზათქში ჩემსკენ მოხოხავდით. გამიყვანეთ ნანგრევებიდან. მერე თქვენნაირმა გმირებმა ვოლგაზე გადამიყვანეს და ზურგში გამგზავნეს. მტრის ჯინაზე გადავრჩი და ცხრა თვის შემდეგ ფრონტზე დავბრუნდი. კიდევ და კიდევ მადლობა, სიკვდილისაგან რომ დამიხსენით“.

და რამდენი ასეთი სიცოცხლე უხსნია იზოლდას!

ახლა ჩვენ ვზივართ იზოლდა კობაიძის პატარა და მყუდრო ბინაში. ვათვალიერებთ საოჯახო ალბომს.

იზოლდა ეს-ეს არის სამუშაოდან დაბრუნდა. საფრონტო პაგონების მოხსნის შემდეგაც არ დამშვიდობებია არმიას. ამჟამად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ერთ-ერთ ნაწილში მუშაობს.

ვათვალიერებთ მისი ფრონტელი მეთაურების, მეგობარი ქალიშვილების, ამხანაგების ფოტოსურათებს.

— ეს რაია სეროვა, მისი მეგობარი ქალიშვილი და მე გახლავართ. — მეუბნება დიასახლისი.

ფოტოზე ჩანს ვოლგოგრადის პეიზაჟი, მის ფონზე იზოლდა კობაიძე და ორი ქალიშვილი. ფოტოს უკანა მხარეზე წარწერა აქვს: ,,შენი დედა, რაია, მაშინ უფრო ახალგაზრდა იყო“. რაია სოფია სეროვას ქალიშვილი აღმოჩნდა.

დიახ, რაიას დედა, იზოლდა და მათი ფრონტელი მეგობრები ცხრამეტისა და ნაკლები წლისანი იყვნენ. მათ თავიანთი გამხდარი მხრებით ზიდეს ომის მთელი სიმძიმე, ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესწირა სამშობლოს დაცვასა და თავისუფლებას.

დავხაროთ თავი მათი ხსოვნის წინაშე, ხნიერი და ახალგაზრდა მებრძოლების ხსოვნის წინაშე.

პოდპოლკოვნიკი ვ. მურომცევი

# ილლე-ბუძელე, ილონკა!

საბჭოთა არმიის ვეტერანი, კავალერი მხედრული ჯილდოების მთელი თანავარსკვლავედისა, რომლებიც მის მუნდირზე ელავენ, პოლკოვნიკი ვიქტორ ათანასეს ძე კრიუკოვი, მღელვარებისაგან ოდნავ აცახცახებული თითებით ეხება თავის ძველ, ჯარისკაცულ მედალს, როგორც ჩანს, მისთვის ყველაზე უფრო ძვირფას ჯილდოს და მისი გონების თვალწინ წარმოდგება 1945 წლის მაისის დილა, ფაშისტთა ურდოებზე ჩვენი დიადი გამარჯვების დილა...

ურალის მოხალისეთა მე-10 განსაკუთრებული კორპუსის ტანკები, რომლებიც გზადაგზა თელავდნენ ფაშისტურ საფრებს, პრაღისაკენ მიეშურებოდნენ. სატანკო ეკიპაჟებს, აღფრთოვანებულთ იმ რწმენით, რომ ეს იყო საძულველ მტერთან უკანასკნელი შებმა, ძილიც დავიწყებოდათ და მოსვენებაც. ბრძოლების ორომტრიალში, ქვემეხების გრიალში, ტანკების გუგუნში, მათ სმენამდე აღწევდა გამაყრუებელი შეძახილები: ,,დიდება!“ — ეს ჩეხოსლოვაკელი ხალხი მიესალმებოდა თავის განმათავისუფლებლებს — საბჭოთა არმიის მებრძოლებს.

გრიგალივით მიჰქროდნენ მანქანები სულ წინ და წინ. მათი რადიოსადგურები იღებდა ფაშისტების წინააღმდეგ ამბოხებული პრაღის ხმას:

,,ჩვენსკენ გამოეშურეთ, წითელო ჯარო, ჩვენსკენ! დაგვეხმარეთ, წითელო ჯარო! იჩქარეთ, იჩქარეთ!“ ეს მოწოდება მოსვენებას უკარგავდა საბჭოთა მებრძოლებს, აჩქარებდა. კარგად იცოდა თითოეულმა თუ რა სისხლის მდინარეს დააყენებდნენ ჰიტლერელი ბარბაროსები პრაღის ქუჩებში, თუ რა უბედურებას დაატეხდნენ თავს ქალაქს.

ბრიგადის მეთაურმა მიხეილ ფომიჩევმა, რომლის მკერდზე საბჭოთა კავშირის გმირის ორი ოქროს ვარსკვლავი ბრწყინავდა, ბრძანება გასცა:

— 9 მაისს, განთიადისას პრაღაში უნდა ვიყოთ!

...ფოლადის ნიაღვარივით შეიჭრნენ საბჭოთა ტანკისტები პრაღის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში, განთიადისწინა სიბნელეში, დროდადრო ხანძრების ციალი რომ კვეთდა, გამოჩნდა ფაშისტური ბარიკადა, რომელმაც ჩვენს მებრძოლებს გზა გადაუღობა. ლეიტენანტ ივანე გონჩარენკოს ტანკმა პირველმა გაანგრია მტრის ლობურა, მაგრამ იქვე დიდი ძალის საპასუხო დარტყმა მიიღო და მის ტანკს ცეცხლი მოედო. წამიც და მტრის ბარიკადზე ჩვენი ყუმბარების თქეში დაეშვა.

უფროსი ლეიტენანტის ვიქტორ კრიუკოვის ტანკმა მიანგრ-მოანგრია ბარიკადა და სხვა ტანკისტებთან ერთად კვალში ჩაუდგა უკან დახეულ ჰიტლერელებს, რომლებიც ცდილობდნენ მეზობელი შენობებისათვის შეეფარებინათ თავი და იქიდან დაეშინათ ცეცხლი ჩვენი მებრძოლებისათვის.

ბედნიერებით გაოგნებული პრაღელები არაფრად აგდებდნენ საფრთხეს და გამორბოდნენ საბჭოთა ტანკისტების შესახვედრად, ყვავილებს აყრიდნენ მათ, ეხვევოდნენ, კოცნიდნენ, მადლობას უხდიდნენ, უჩვენებდნენ ფაშისტების საფარებს. ვიქტორ კრიუკოვმა ის-ის იყო მიანგრ-მოანგრია ქვაფენილი, რომ უცბად ფუგასური ყუმბარა გასკდა, ტანკმა წამიერად ნანგრევებს შეაფარა თავი. კრიუკოვმა საჭვრეტიდან პარკის ბნელ სიღრმეებს გახედა და იქ შეფარებულ მტრის ქვემეხს დაუწყო ძებნა, უცბად დაინახა თეთრწინსაფრიანი ციცქნა გოგონა. იგი იასამნის დიდ თაიგულს აქნევდა, რაღაცას ყვიროდა და ტანკისაკენ გამორბოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოედანზე გერმანელთა ტყვიამფრქვევი აკაკანდა. პატარა გოგონას გზაზე გადამლობი ცეცხლი გაჩნდა, მისი სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდა. კრიუკოვს გული გაეყინა, მან დაუყოვნებლივ მიიღო გადაწყვეტილება — ტანკი საფარიდან გამოიყვანა და გოგონას წინ აეფარა. ეს იყო უდიდესი რისკი, სიცოცხლის განწირვა — ტანკი ჯავშნით დაუცველი ფერდით ფაშისტური ბატარეის პირისპირ აღმოჩნდა. კრიუკოვი ხედავდა თუ როგორ სწრაფად ტენიდნენ ფაშისტი არტილერისტები გრძელლულიან ქვემეხებს, „უნდა დაასწროს, რაც არ უნდა მოხდეს, უნდა დაასწროს“, მან სწრაფად და მოხერხებულად გადახსნა ხუფი, გადმოიხარა, გოგონას ხელი დასტაცა და ტანკში აიყვანა, ასევე სწრაფად მოაბრუნა ტანკი. მალე მისი ტანკიდან დაიგრიალა ქვემეხმა და ფაშისტების ჯგუფეული მოცელა. პატარა ილონკა ისევ საბჭოთა ტანკში იყო. იგი მუხლზე უჯდა ვიქტორ კრიუკოვს, თავისი პაწია ხელები მაგრად შემოეხვია მისი ყელისათვის და ორთავეს — პატარასაც და დიდსაც სიხარულის ცრემლები დიოდათ.

ამგვარად, პრაღის ქუჩებში გამართულ იმ ბრძოლებში, რომლებზეც შემდეგ პოეტებმა ლექსები დაწერეს, კომპოზიტორებმა — სიმფონიები და კანტატები, მონაწილეობდა საბჭოთა ტანკი № 22 და თავის ეკიპაჟში ჰყავდა „შტატზევითა მებრძოლი“ — ქერათმიანი პრაღელი გოგონა ილონკა, და როცა განთავისუფლებული პრაღის ქუჩებში ხუფგადახდილმა № 22 ტანკმა ჩაიარა, უფროსი ლეიტენანტის ვიქტორ კრიუკოვის მხრებზე ყველამ დაინახა ცუგრუმელა ილონკა, იგი თავის წკრიალა ხმით ხმამაღლა გაიძახოდა: „დიდება!“

ეს სურათი — ჩეხი გოგონა საბჭოთა ტანკისტის ვიქტორ კრიუკოვის მხრებზე — მეორე დღეს დაიბეჭდა პრაღის გაზეთებში.

* * *

პრაღაში, ყოფილ უეზდის მოედანზე (ახლა მას „საბჭოთა ტანკისტების მოედანი“ ეწოდება). გრანიტის ცოკოლზე დგას ტანკი, კოშკზე წითელი ვარსკვლავით. ეს არის № 23 ტანკი ლეიტენანტ ივანე გონჩარენკოსი, რომელიც პირველი შევიდა პრაღაში. განმათავისუფლებელი საბჭოთა არმიის მარადიული დიდების სიმბოლოდ არის ქცეული ეს მონუმენტი.

№ 22 ტანკის უშიშარმა მეთაურმა, პოლკოვნიკმა ვიქტორ კრიუკოვმა ომის შემდეგ დაამთავრა სამხედრო აკადემია და წლების მანძილზე მაღალ სამეთაურო თანამდებობებზე მსახურობდა წითელდროშოვან ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში. იგი ახლაც საბრძოლო მწყობრშია. სახელგანთქმული მეომრისაგან ჩვენი სამშობლოს ახალგაზრდა ჯარისკაცები სწავლობენ მტერზე გამარჯვების ხელოვნებას, ცდილობენ იყვნენ ისეთნი, როგორიც იყვნენ საბჭოთა მეომრები, რომლებმაც თავისუფლება, ბედნიერება და სიცოცხლე აჩუქეს პატარა პრაღელ გოგონას — ილონკას.

პოდპოლკოვნიკი ვლადიმერ ხომუტოვი

ივანე თარბა

## იავნანა

ნანა, შვილო, სიყმაწვილე
გქონდეს ლხენა-შვებისა!
დაიძინე, შენს ტოლ-სწორებს,
ყველას ძილინებისა!
თვალები რომ გელულება,
უკვე ძილი გერევა.
შორს ბოროტი, ავი სული,
ახლოს — ბედნიერება.
ანგელოზი შენთან იყოს,
ტყეში იყონ ქაჯები;
შვილო, დედაშენისათვის
სულ პატარა დარჩები.
შიში რომ არ შეგეპაროს,
ნანას გეტყვი მალიმალ,
გულადად და მშვიდად გაგზრდის
ჩემი იავნანინა!
ველარავინ მოგერევა
ლონიერს და ჯიშიანს,
ნუმც გექნება მისი შიში,
დედას რისიც შიში აქვს!
შენს ცხოვრებას დედის გული
მუდამ ელაღებინოს,
და სახეზე ყოველ დილით
მზის სხივები გეფინოს.
მე არ ვიცი ვინ იქნები,
სად იქნები საჭირო,
ქვეყანაზე დაე შენმა
საქმემ გამოგაჩინოს.
ცას გახსნი თუ კოსმოსს ახვალ,
თუ ზღვას მიეკრძები,
მშობლიური მიწის დაცვა,
შვილო, მუდამ შესძელი!

## სიმღერა შეყვარებული ქალისა

თავზე დამყურებს, ვმზერ იმის ჯავარს,
მასზე ოცნებით მიდის ყველა დღე;
ძალით ჰგავს მიწას, რაზედაც ვდგავარ,
ის გზას მინათებს და მიფერადებს!
ყველგან დამყვება იმისი ლანდი,
თუ სადმე წავა, ვერა ვმშვიდდები,
ის სასახელო საქმეებს ჩადის
და იმოსება ყველგან დიდებით.
სუყველგან შნო და ლაზათი მიაქვს,
მისი ტოლ-სწორი ევლება თავზე,
მისი ტრფიალი სურს ყველა დიაცს,
მახარებს ეს და შიშითაც მავსებს.
ის არის კაცი ლომგული, სათნო,
მას ყრუანტელი ყოველთვის ახლავს,
თვალების შუქით მზესავით მათბობს,
მასზე უკეთესს ვერაფერს ვნახავ!
იმის გარეშე მზეც არა მჭერა,
იმის გარეშე ნუ ვიარსებო!
იმის გარეშე მწარეა ყველა,
იმის გარეშე ბნელა გარშემო!
იმის გარეშე წყაროც იმღვრევა,
რაღაც ტკივილიც ატანს გულამდე,
არ შეუძლია ბულბულს სიმღერა,
ყოველთვის ღელვით რომ ვაყურადებ!
იმის გარეშე სახლ-კარი ჩემი
არც იღება და არც ირაზება,
ყრუ და მუნჯია სამყარო ვრცელი,
იმის გარეშე სევდით სავსეა.
რომ ვაჟკაცია, მეცა ვარ ქალი,
მეც უფრო მხნე და უფრო გამრჯე ვარ,
სხვებს მოსწონთ, მაგრამ ჩემია ქმარი
და მწამს ბოლომდე ჩემი დარჩება.

თარგმნა მინდია არაბულმა

## ჩვენს მამაც ქალებს

ამ ლექსში ვიტყვი მოურიდებლად, —
არ მსურს ვუმღერო თვალებს და მაყვალს...
ქალთა საქებრად და სადიდებლად
სხვა სიყვარული მე გულში ჩამყვა.
ქალი ერთგული საქმეს სჭირდება,
ქალი მამაცი და გამჭრიახი...
იგი არც ბრძოლას შეუშინდება
და მტარვალს შუბლში ტყვიას მიახლის.
გმირი თაობის აღმზრდელი ქალი,
ქალი ექიმი, ჩაის მკრეფავი,
ქალი ძლიერი გონების თვალით,
დაუღალავი მშრომელი მკლავით.
ყველასთან ერთად ქალიც ჰქმნის დოვლათს,
უვლის მზის შუქით მოფენილ ბინას,
მას უყვარს შრომა, ოჯახის მოვლა,
შინა თუ გარეთ მზესავით ბრწყინავს.
ასეთი ქალის თვალებიც გვიყვარს,
ზოგი ლაჟვარდობს, ზოგი ჰგავს მაყვალს...
ეს იყო ჩემი მღელვარე სიტყვა,
ეს სიყვარული მე გულში ჩამყვა.

ვასილ ლაფერაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორი უნდა იყოს მამა?

დედის კულტი მთელ დედამიწაზეა გავრცელებული, დედას უმღერიან, ხატავენ და ბევრს წერენ მასზე. მართლაც, იშვიათია ადამიანი, რომ დედისადმი ფაქიზი გრძნობებით არ იყოს გამსჭვალული, რადგან დედაა იმედი და კეთილი მფარველი, დედას ანდობენ ყველაზე იდუმალ გულისთქმას, დედითაა შვილი ღონიერი, ფრთებგაშლილი და მუდამ ახალგაზრდა. განსაკუთრებით დიდია ქალისადმი პატივისცემა საქართველოში.

ხანგრძლივი დროის მანძილზე დედის გაღმერთებამ თითქოს დაჩრდილა მამის ავტორიტეტი, თუმცა სინამდვილეში დედაზე ნაკლები როლი როდი აკისრია მას შვილების აღზრდასა თუ ოჯახის გაძღოლაში.

თანამედროვე სოციოლოგიურ გამოკვლევებში დიდი ყურადღებაა გამახვილებული მამის პიროვნულ სტრუქტურასა, ეთიკასა თუ მორალურ შეხედულებებზე. ბოლოსდაბოლოს, როგორი უნდა იყოს მამა? რა თვისებებით უნდა ხასიათდებოდეს იგი?

როდესაც მშობლის უფლებასა და მოვალეობებზე ლაპარაკობენ, იგი ორივეს შეეხება, დედასაც და მამასაც. მშობლების ვალია, აღზარდონ ჯანმრთელი, სიცოცხლისუნარიანი, ყოველმხრივ განვითარებული და საზოგადოებისათვის სასარგებლო ადამიანები. მშობელი ვალდებულებას უნდა გრძნობდეს არა მარტო შვილების, არამედ სახელმწიფოსა და ერის წინაშე.

მამას ოჯახის წინამძღვარს ეძახიან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახლეულს მამის გვარი აქვს და უმთავრესად მან უნდა უზრუნველყოს იგი მატერიალურადაც. ქორწინების აქტით ცხოვრების სრულიად ახალი ჭრილი იწყება და ახალგაზრდა კაცი სხვა როლს კისრულობს — იგი მეუღლე ხდება. მკვლევარები მიუთითებენ, რომ ოჯახი მამაკაცისათვის ზეამოცანა უნდა იყოს. იგი პირველ რიგში ოჯახზე უნდა ზრუნავდეს და არა საკუთარ დროსტარებასა და ამხანაგებზე. ხშირ შემთხვევაში, ახალდაქორწინებულთა კონფლიქტის ერთ-ერთი საბაბი სწორედ ეს ხდება.

პირველი ბავშვის დაბადებით არა მარტო ოჯახი, მთელი ნათესაობა ხარობს. პატარაზე მამის ზრუნვა მაშინვე უნდა იწყებოდეს, მამა უნდა ეშველებოდეს დედას ყოველივე იმაში, რაც დაკავშირებულია შვილების აღზრდასთან.

ოჯახის წინამძღვრობა ანუ მამობა იმდენად მნიშვნელოვანი საქმეა, რომ მეცნიერულ ლიტერატურაშიც კი კვლევის საგნად გადაიქცა. რომელ ასაკში უნდა შეირთოს მამაკაცმა ცოლი ან როდის უნდა გახდეს იგი მამა? როგორც პირველი, ისე მეორე საკითხი მნიშვნელოვანია არა მარტო პედაგოგიურად, სოციალურადაც (უკანასკნელ წლებში საგრძნობლად შეიმჩნევა აქსელერაციის პროცესი, ახალგაზრდები უფრო ადრე მწიფდებიან როგორც ბიოლოგიურად, ისე ინტელექტუალურად).

გერმანულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სასურველი არ არის ახალგაზრდა მამა გახდეს 22 წლამდე, რადგან ბიოლოგიური ასაკის გარდა მის პიროვნულ განვითარებაზეც მიუთითებენ. მამაკაცის ვარგისიანობას განსაზღვრავს ბიოლოგიური და სოციალურ-მორალური სიმწიფე, ეკონომიური პირობები. უპირველეს ყოვლისა, მამა უნდა იყოს დამოუკიდებლად მოქმედი და მოაზროვნე, ზნეობრივად მომწიფებული და მაღალი მოქალაქე, აქტიურ მონაწილეობას უნდა იღებდეს საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებში, ფლობდეს რაიმე პროფესიას და შეეძლოს მიღებული ცოდნის გამოყენება. სწორედ ასეთი ახალგაზრდა შეიძლება მივიჩნიოთ სარწმუნო მამად.

მამობის ზემო საზღვრად 50 წელია მიჩნეული (იგულისხმება პირველი შვილისათვის), ასეთი დადგენა ფსიქოლოგიურ დაკვირვებას ეფუძნება. ბავშვს ახალგაზრდა მამა ეამაყება. როდესაც ბავშვი პირველი ნაბიჯით შეუცნობელ ქვეყანას იმორჩილებს, მოითხოვს მამას, რომელსაც ის მიენდობა. რასაც ბავშვი ხელით ვერ წვდება (მას ხომ ყველაფერი აინტერესებს), მამის საშუალებით უნდა შეიცნოს და მიწვდეს. მამის მხრებზე შესმული ბავშვისათვის სამყარო დიდია და ფართო. ბავშვი საზოგადოებრივი თვალით კი არ უცქერის მამას, მას მამა თავისთვის სურს, უნდა. რაც შეიძლება დიდხანს ეთამაშოს და, წარმოიდგინეთ, რა ძნელია, როცა მამა აღარ არის ახალგაზრდა, როცა მისი სასიცოცხლო ფუნქციები დაქვეითებულია; იგი ჯეროვან კონტროლს ვეღარ უწევს შვილს და აქტიურად ვერ ერევა მის ყოველდღიურ საქმიანობაში.

კიდევ უფრო საჭიროა მამა სასკოლო ასაკში. ზოგიერთ მამაკაცს თავი მოაქვს იმით, რომ არასოდეს შეუღია სკოლის კარი და დარწმუნებულია, რომ შვილის აღზრდა მხოლოდ დედის მოვალეობაა. ეს ძალიან მცდარი აზრია. ვინაიდან დედას შვილთან ძალიან მჭიდრო კონტაქტი აქვს, მისი ყოფის ყოველგვარ წვრილმანში ერევა, ზოგჯერ იგი ავტორიტეტს კარგავს, ბავშვი აღარ უჯერებს მას. მამა ვალდებულია დაეხმაროს დედას შვილის აღზრდაში, ასწიოს მისი ავტორიტეტი შვილის თვალში, რადგან ბევრ შემთხვევაში დედის ხმის სიძლიერე მამაზეა დამოკიდებული.

ყოვლად დაუშვებელია, შვილის წინაშე მამის ლანძღვა და გინება, რასაც ხშირად მიმართავენ ქმარზე გაბრაზებული ცოლები. როცა შვილი მშობლებს შორის პატივისცემას და თანხმობას ხედავს, ისიც წონასწორდება, მაგრამ თუ დედ-მამაში მკვეთრად განსხვავებულ აზრებსა და შეუთანხმებლობას ამჩნევს, რომელიმესადმი (ან ორივესადმი) აგრესიული ხდება.

კარგ მამას, როგორი დასაქმებულიც არ უნდა იყოს იგი, მუდამ აქვს გამოყოფილი დრო შვილებისათვის, დაჰყავს ექსკურსიებზე, აცნობს სამშობლოს ისტორიასა და ღირსშესანიშნაობებს, ბუნების მოვლენებს, ცხოველთა სამყაროს და სხვა. და მერე როგორ უყვართ ბავშვებს მამასთან ერთად სიარული! ყველას შეუნიშნავს, რა სიამაყით ყვებიან ბავშვები ამბებს, სადაც მამა მთავარი მოქმედი „გმირი“ იყო.

არა მარტო დედა, მამაც ვალდებულია ბავშვი მიაჩვიოს ოჯახურ წესრიგს, როცა მამა თვითონ არის წესრიგიანი და დიასახლისის შრომის დამფასებელი, შვილიც ბაძავს მას. მამა თვალყურს უნდა ადევნებდეს შვილს: სალმიანია თუ არა, ანდა როგორ საუბრობს უფროსებთან, ხომ არ ავიწყდება ოჯახში ნასწავლი ზრდილობის წესები? ძველი ბერძენი ფილოსოფოსები წერდნენ: ყველაზე დიდი სიკეთე სამართლიანობააო, მართლაც ყოველი მამა უნდა ცდილობდეს იყოს მისაბაძი მაგალითი შვილისათვის, სამართლიანობა და ლოგიკურობა ფიზიკურ თვისებასავით ამშვენებს მას. თბილისის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლე წერს: „ოჯახში უცხოური ავტოკალამი დაიკარგა, მამამ მაშინვე მე დამაბრალა; თავი ვიმართლე, მაგრამ არაფერი გამოვიდა. შემდეგ ტახტის ქვეშ იპოვნეს, მამას ერთი სიტყვაც არ უთქვამს ჩემთვის. მსგავს შემთხვევაში კი მე ბოდიშს მახდევინებენ ხოლმე“.

მამის მნიშვნელობა დიდია და მის ავტორიტეტს მოფრთხილება უნდა. ზოგიერთი დედა შვილს მამით აშინებს. ეს არაა სწორი: ასეთ შემთხვევაში ბავშვი გაურბის მამას და უცხო ხდება. არაერთი მაგალითი არსებობს იმისა, რომ მსგავს შემთხვევებში მზრუნველი მამა დაუკარგავთ.

არასასურველი მდგომარეობა იქმნება ოჯახში, სადაც ვაჟი იზრდება და ქალები სჭარბობენ. საფრთხილოა, რომ მას ქალური თვისებები არ განუვითარდეს. მამა ვალდებულია წვრთნიდეს მას, ვაჟკაცურ თვისებებს უვითარებდეს, რომ არ იყოს მშიშარა და გაჭირვების შემთხვევაში — მოწუწუნე. მამის დახმარებით ვაჟი უნდა ეუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებოდეს სპორტს, კაჟდებოდეს როგორც სულიერად, ისე ფიზიკურად.

მამის როლი და მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით საჭიროა გარდატეხის ასაკში, როცა ბავშვი თავისებური ხედვითა და შეცვლილი აზროვნებით გამოირჩევა. სადაც უნდა იყოს ბავშვი, ქალაქად თუ სოფლად, აუცილებელია მისი დასაქმება, რათა მოზღვავებული ენერგია სასარგებლოდ დახარჯოს. გარდა ამისა, მამის ვალია ვაჟის სექსუალური აღზრდა, რაც დიდ სიფაქიზესა და თანაგრძნობას მოითხოვს. ბევრი მამა სწავლაში წახალისების მიზნით ბავშვს ფულს აძლევს ანდა პირდება: თუ კარგ ნიშანს მოიტან, ამასა და ამას გიყიდიო. წახალისებასაც თავისი ფსიქოლოგიური თავისებურება ახასიათებს, რაც გასათვალისწინებელია. ასეთი დაპირების შემთხვევაში სწავლა მოსწავლის მიზანი კი არა, საშუალება გამოდის სხვა რამის მისაღწევად. უმჯობესია ბავშვის დასაჩუქრება ისეთი ნივთებით, რაც დაკავშირებულია მოსწავლის საქმიანობასთან, ყოველივე იმით, რაც აფართოებს ცოდნის ჰორიზონტს და სულიერი ღირებულება გააჩნია. მშობელმა უნდა იცოდეს, რომ წახალისების მიზანი ამა თუ იმ კარგი საქციელის, კარგი მოქმედების განმტკიცებაა, წახალისება ხელახალი მოქმედების სტიმული უნდა გახდეს. წახალისების ეფექტი დიდია მაშინ, როცა არა მარტო სხვები, თვითონ ბავშვიც მნიშვნელოვნად თვლის თავის ქცევას, ნამოქმედარს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ სასარგებლო საქმე გააკეთა, რომ იგი საზოგადოებრივი წონისაა და მაღალი შეფასება დაიმსახურა. სწორედ ასეთ შემთხვევაში გამოიყენება წახალისება ქცევის განმტკიცებისათვის. ბავშვი უნდა წახალისდეს არა იმის გამო, რომ მას ესა თუ ის უნარი ან ნიჭი გააჩნია, არამედ იმისათვის, რომ ამა თუ იმ საქმეს დიდი ძალა, დრო და ენერგია შეალია. წახალისებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ასაკიც. მაგალითად, თუ პირველ კლასში ბავშვი შეიძლება წახალისდეს სუფთა წერის გამო, შეუძლებელია იგივე გავიმეოროთ მეათე კლასში.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია ვილაპარაკოთ მამის მრავალმხრივ საპასუხისმგებლო მოვალეობაზე, მამა-შვილის უმნიშვნელოვანეს ურთიერთობასა და სიყვარულზე, აღზრდის ყოველ ცალკეულ შემთხვევასა თუ ნიუანსზე. არც ერთ ფსიქოლოგსა და პედაგოგს ამისათვის სპეციალური რეცეპტები არ მოეძევება. თავი და თავი ისევ ისაა, რომ მამა თვითონ უნდა იყოს შემკული პიროვნული თვისებებითა და მოსაზრებულობით, მაღალი მოქალაქეობრივი და პატრიოტული გრძნობებით. მას უნდა ჰქონდეს ღრმა ინტუცია, კარგად იცნობდეს თავის შვილს, რომ ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში აღზრდის სწორ და გონიერ ხერხს მიმართოს. ჭეშმარიტად, ასეთ მამებს შეუძლიათ აღზარდონ საზოგადოებისათვის სასარგებლო და სანიმუშო მოქალაქეები.

ჟუჟუნა ნეფარიძე

# ჩვენი საოჯახო კლუბი

## ჩვენი ჯანმრთელობისა და სილამაზის სალონი

# მიხედეთ თქვენს გარეგნობას

„ახალი წლის წინადღეს ძალიან მეჩქარებოდა. ქუჩა უადგილო ადგილას გადავკვეთე. მილიციელმა შემაჩერა და ასე მომმართა:

— ქალიშვილო, თქვენ წესრიგი დაარღვიეთ, გადაიხადეთ ჯარიმა!.. — ამ სიტყვების შემდეგ მზად ვიყავი ათჯერ გადამეხადა ჯარიმა, ხოლო მილიციელის მიერ გამოწერილი ქვითარი, როგორც ძვირფასი რელიქვია, სამახსოვროდ შევინახე...“ ეს სიტყვები ეკუთვნის საბჭოთა კინოს ვარსკვლავს და მართლაც, ვისაც „მხიარული ახალგაზრდების“, „ცირკის“, „ვოლგა-ვოლგას“ და სხვა ფილმების გმირი ბოლო ხანებში უნახავს, ერთი წუთითაც არ შეეპარება ეჭვი მილიციელის გულწრფელობაში, როდესაც მან ლ. ორლოვას ქალიშვილი უწოდა.

„სიარული, სირბილი, ცურვა, თხილამურები, აი ჩემი ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტები“. — ამბობდა ლიუბოვ ორლოვა და მართლაც, რომ ფიზიკური კულტურა და სპორტი დღეს მილიონობით ადამიანის აუცილებელ სასიცოცხლო მოთხოვნილებად იქცა.

ტექნიკურმა პროგრესმა კაცობრიობას დიდ შეღავათებთან ერთად უმოძრაობა მოუტანა. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დღეს ზოგიერთი უსიამოვნებაც ადამიანის ერთ-ერთი მთავარი მტერია.

ესეც რომ არ იყოს, განა თითოეული ჩვენთაგანი საკუთარ თავზე არა გრძნობს წლებისა და ზედმეტი წონის სიმძიმეს?! განა ჩვენ არა ვართ, ოდნავი აჩქარებისთანავე ქოშინი რომ გვიტყდება?! ანდა, მეოთხე სართულზე ასვლისას გულზე ხელს რომ ვიკიდებთ? თითქოს ყველას გვესმის, თითქოს ყველას გვწამს მოძრაობის, ფიზიკური ვარჯიშის აუცილებლობა, მაგრამ... მაშ, რა გვიშლის ხელს, რაშია საქმე? — მიზეზი ერთია, არ გვყოფნის ნებისყოფა, მონდომება, კონტროლი საკუთარი თავისა, ვიკვებებით ჭარბად, არ ვიტვირთებით ფიზიკური შრომით და სხვ. ნუ მიწყენენ ჩვენი პატივცემული ქალები, მაგრამ თითქოს რაღაც სოციალურ მოვლენად იქცა მათთვის ასაკთან ერთად წონაში მომატება.

გასაგებია, წონის მომატება ჩვენი სურვილის გარდა ბევრ სხვა ფაქტორზე არის დამოკიდებული, მაგალითად, ორგანიზმის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ აგებულებაზე, გარემოზე, პროფესიაზე, ასაკზე, მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ჩვენშია. ქალური სინაზე, მოძრაობის დახვეწილობა, ელეგანტობა რომ ყველა ქალისთვის აუცილებელია, ამაში ალბათ დაგვეთანხმებით, მაგრამ რას აკეთებთ იმისათვის, რომ მარად ჯანმრთელი და მიმზიდველი იყოთ? — თითქმის არაფერს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ასაკის მომატებასთან ერთად კოსმეტიკის უმდიდრესი არსენალიდან სულ უფრო მეტი საშუალების გამოყენებას.

შეიძლება თუ არა მდგომარეობის გამოსწორება? რა თქმა უნდა, შეიძლება და აუცილებელიცაა. არსებობს ამის ყველაზე უებარი საშუალება — ფიზიკური ვარჯიში, რომლის გამოყენება შეიძლება ყოველთვის, ყველგან და რაც ყველაზე მთავარია, ყველა ასაკში. ისე რომ, გულს ნუ გაიტეხთ, გვიანი არასდროს არ არის.

მაშ ასე, თქვენ მტკიცედ გადაწყვიტეთ ვარჯიშის დაწყება. კეთილი და პატიოსანი. მხოლოდ კარგად დაიმახსოვრეთ შემდეგი პირობა:

პირველი — მოუკელით სითხისა და საკვების მიღებას, — განსაკუთრებით ცომეულის.

მეორე — ივარჯიშეთ სისტემატურად! არ გამოტოვოთ არც ერთი დღე, არავითარი დათმობა საკუთარ თავს!!

მესამე — ივარჯიშეთ იმდენი, სანამ გსიამოვნებთ. არავითარი დაღლა და ძალდატანება!

მეოთხე — ვარჯიში დაიწყეთ მარტივიდან და თანდათან გადადით რთულზე, ნუ აჩქარდებით, უცბად არაფერი კეთდება.

მეხუთე — რა საქმეც არ უნდა გქონდეთ, გვერდზე გადადეთ და შეასრულეთ ვარჯიში. ნუ გამოტოვებთ ნურცერთ დღეს. გაივლის სულ მოკლე ხანი და თავად შეიგრძნობთ იმ უდიდეს სიამოვნებას, რომელსაც საკუთარი სხეულის დამორჩილება მოგანიჭებთ.

გახსოვდეთ,

თქვენი ჯანმრთელობა და სილამაზე თქვენსავე ხელთაა!!

მაშ ასე, დღეს ჩვენი პირველი მეცადინეობაა!

ამჯერად გაწვდით ვარჯიშებს, რომელთა გამოყენება რეკომენდებულია ხანგრძლივი სამუშაოს შესრულებისას. დამტკიცებულია, რომ 2-3 საათის დამჯდარ მდგომარეობაში მუშაობის შემდეგ ირღვევა სისხლის მიმოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცევა, ნივთიერებათა ცვლა, რის შედეგადაც ქვეითდება შრომისუნარიანობა.

ყოველივე ამის თავიდან ასაცილებლად საკმარისია 5-7 წუთის განმავლობაში მარტივი ვარჯიშების შესრულება იქვე, სამუშაოს ადგილზე.

თუ ადგილი და სამუშაო პირობები ამის საშუალებას გაძლევთ, გამოაღეთ ფანჯარა და შეუდექით ადგილზე სიარულს. სიარულის დროს ისუნთქეთ ღრმად, მკლავები ამოძრავეთ ენერგიულად. 40-60 წამი სიარულის შემდეგ დაჯექით სკამზე (თუ სიარულის საშუალება არა გაქვთ, ვარჯიშები შეგიძლიათ შეასრულოთ აუდგომლად).

### I ვარჯიში

სკამზე თავისუფლად დაჯექით. მკლავები დაუშვით.

1. ღრმად ჩაისუნთქეთ, ფეხები გამართეთ. მკლავები მაღლა ასწიეთ. თითები გაშალეთ.

2-3-4 პაუზა.

ამოისუნთქეთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

გაიმეორეთ 4-ჯერ.

### II ვარჯიში

საწყისი მდგომარეობა იგივე

1. ჩაისუნთქეთ, თითებით დაეყრდენით მაგიდას, მკლავები გამართეთ, თავი უკან გადასწიეთ.

2-3-4 პაუზა.

ამოისუნთქეთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### III ვარჯიში

1. ჩაისუნთქეთ. მკლავები განზე, მარჯვნივ დაიხარეთ, მარჯვენა ხელით იატაკს შეეხეთ.

2-3-4 პაუზა.

დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ამოისუნთქეთ.

გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### IV ვარჯიში

1. ღრმად ჩაისუნთქეთ, ფეხები წინ გამართეთ, ამოსდეთ მაგიდას, მკლავები გაიტანეთ წინ, თითები მომუჭეთ, დაიძაბეთ.

2-3-4 პაუზა.

ამოისუნთქეთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

ვარჯიში გაიმეორეთ 4-6-ჯერ.

### V ვარჯიში

1. ჩაისუნთქეთ. ფეხები გამართეთ, მკლავები სკამს ამოსდეთ. თავი უკან გადასწიეთ, მკერდი წინ გამოსწიეთ.

2-3-4 პაუზა.

ამოისუნთქეთ, დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას.

### VI ვარჯიში

ჩაისუნთქეთ, სხეული მოადუნეთ, მკლავები დაუშვით, თავი უკან „გადააგდეთ“, თვალები დახუჭეთ. 3-4 წამის შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. ამოისუნთქეთ. ადექით, გაიარ-გამოიარეთ, ღრმად ისუნთქეთ. დაჯექით სკამზე და შეუდექით მუშაობას.

ზემოხსენებულ ვარჯიშებში გამოყენებულია სუნთქვითი (ფილტვების ვენტილაცია) დაძაბვითი ანუ სტატიკური ვარჯიშები მოდუნებით. ორგანიზმის დაძაბვა, მოდუნება და სუნთქვითი ვარჯიშების ერთმანეთში სწრაფი ცვლა აძლიერებს სისხლის მიმოქცევას, ნივთიერებათა ცვლას, სხეულის ყველა ორგანოსათვის (პირველ რიგში, თავის ტვინის) მკვებავი ნივთიერებების მიწოდებას, რის შედეგადაც სწრაფად ხდება შრომისუნარიანობის აღდგენა.



1



2



3



4



5



6

ვარჯიშების გამეორებისას დამოუკიდებლად განსაზღვრეთ დოზირება: ვარჯიშის კარგად ათვისების შემდეგ შეგიძლიათ გაზარდოთ სტატიკური პაუზების დრო და ვარჯიშთა გამეორების რიცხვი.

მომავალში კვლავ მოგაწვდით საინტერესო ვარჯიშებს. მანამდე კი სპორტულ მაღაზიებში შეიძინეთ პლასტმასის სავარჯიშო ჯოხი, სახტუნაო თოკი, რეზინის სახვევი, პლასტმასის სალტე და საშუალო ზომის ბურთი.

გისურვებთ წარმატებას!

დოცენტი გ. ყირმელაშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ მოვუაროთ სახის კანს

ჩვენს საუკუნეში კოსმეტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება; მუშაობენ კოსმეტიკის სპეციალური ინსტიტუტები, სამკურნალო დაწესებულებები და კაბინეტები.

სამკურნალო დაწესებულებებსა თუ კაბინეტებში პროცედურებს უშუალოდ კოსმეტოლოგი ატარებს, სახის გაწმენდა იქნება ეს, კანის აქერცვლა, კოსმეტიკური და ვიბრაციული მასაჟი, ნიღბის დადება თუ სხვა რამ.

კანის დაავადებას ხშირად იწვევს შინაგანი დაავადებები. ამიტომ, თუ გვსურს კარგი კანი გვქონდეს და ლამაზად გამოვიყურებოდეთ, საჭიროა ვიზრუნოთ საერთოდ ჯანმრთელობაზე.

ქალი უნდა ცდილობდეს შრომა და დასვენება ერთმანეთს შეუნაცვლოს რამდენადაც ეს შესაძლებელია, დაიცვას ძილის, კვების რეჟიმი, მოიწესრიგოს კუჭ-ნაწლავის მოქმედება, მეტად ისარგებლოს სუფთა ჰაერით, ივარჯიშოს და ა. შ. კანის მოვლა ბევრ ფაქტორთანაა დაკავშირებული, რომელთა შორის უდიდესი როლი ენიჭება სახის კანის მოვლას საშინაო პირობებში.

## სახის მოვლა დილით

ბევრ ქალს დილ-დილობით სახე ოდნავ შეშუპებული და მომჩვარული აქვს. ასეთ დროს დიდი სარგებლობა მოაქვს სახის ცივი წყლით დაბანას, უფრო მეტიც, თუ ჰაიმორიტი, რინიტი, სამწვერა ნერვის ანთება და სხვა ამგვარი რამ არ გაწუხებთ, ძალზე კარგია სახის ყინულით გაწმენდა. ყინული მზადდება სამკურნალო მცენარეების ნახარშისაგან. მშრალი კანისათვის იღებენ გვირილის, პიტნის, ორკბილას, სალბის (шальфей), ცაცხვის ყვავილს, ცხიმიანი კანისათვის პიტნის, კრაზანას (зверобой), გულყვითელას და მუხის ქერქის ნახარშს. ერთ ლიტრ წყალზე 5-5 გრამი მცენარეული 5-10 წუთის განმავლობაში უნდა ვხარშოთ მომინანქრებულ ჭურჭელში, შემდეგ 4 საათი გავაჩეროთ, დოლბანდში გავწუროთ და საჭირო ყალიბებში ჩავასხათ. ყალიბებს შევდგამთ მაცივარში გასაყინად. ნახარშის მაცივარში შენახვა შეიძლება 10-15 დღის განმავლობაში.

ყინულის მოსამზადებლად ასევე შეიძლება გამოვიყენოთ კიტრის წვენი, მინერალური წყლები, მარილწყალი (ნახევარი ჩაის კოვზი 1 ჭიქა წყალზე), ლიმონიანი წყალი (ერთი ლიმონი ერთ ლიტრ წყალზე).

ნაზი და მშრალი კანისათვის ყინული შეიძლება დამზადდეს ძროხის რძის, ნაღებისა და კეფირისაგან.

უკეთესია ნახარშის მომრგვალებულძირიან ჭურჭელში გაყინვა, როგორიცაა, ფიალა, ფინჯანი და ა. შ.

ვიდრე პროცედურას შევუდგებოდეთ, კარგად დაიბანეთ ხელები, გამოიღეთ ყინულიანი ჭურჭელი მაცივრიდან, ხელის გულზე გადმოიბრუნეთ (ყინული ჭურჭელს რომ მოსცილდეს, გადაავლეთ ცხელი წყალი). მომრგვალებული მხრიდან, ყინული 1-2 წუთის განმავლობაში ისვით სახეზე და ყელზე; თუ ქუთუთოები დაბერილი გაქვთ, ქუთუთოებზეც წაისვით, ოღონდ ნაზად და რბილად ამოძრავეთ ხელი. ღაბაბზე ყინული ისვით წრიული მოძრაობით და უფრო ინტენსიურად. პროცედურა დაიწყეთ ერთი წუთიდან, როცა კანი მიეჩვევა, შეგიძლიათ ვადა 3 წუთამდე გაზარდოთ. ეცადეთ ყინულით სახის დაბანა თქვენი ტუალეტის აუცილებელ ნაწილად აქციოთ.

ამის შემდეგ, ყინულისაგან დასველებულ სახეზე ისვამთ დამარბილებელ კრემს. კრემის შემადგენლობა უნდა შეეფერებოდეს თქვენს კანს. სასურველია კრემი წყლით დასველებული ტამპონით წაისვათ, არ დაგავიწყდეთ ყელიც. 10-15 წუთის შემდეგ სახე შეიშრეთ ქაღალდის ან რბილი ნაჭრის ხელსაწმენდით. სასურველია ოდნავ პუდრიც შეიფრქვიოთ.

დღის განმავლობაში ცხიმიანი კანი პრიალს იწყებს; ამის თავიდან ასაცილებლად სახე უნდა გაიწმინდოთ სპეციალური ლოსიონით, რომლის დამზადება შინაც შეიძლება. შინდამზადებულ ლოსიონში შედის ერთი კვერცხის ცილა, 1/3 ჭიქა არაყი და ერთი ლიმონის წვენი.

მშრალი კანისათვის არსებობს ასეთი ლოსიონი: 600 გრამი კიტრი გარეცხეთ, გახეხეთ და დოლბანდში გაწურეთ. 1/2 ლიტრ კიტრის წვენს დაუმატეთ ერთი აბი დაფხვნილი ასპირინი (რომ შეინახოს).

მეორენაირი ლოსიონი: 2/3 ლიტრ კიტრის წვენს შეურიეთ 1/3 ლიტრი ქოლოს წვენი და დაუმატეთ ერთი აბი დაფხვნილი ასპირინი.

ლოსიონი შეინახეთ მაცივარში, ყოველდღიური ხმარებისათვის კი ჩაასხით პატარა ფლაკონში.

მკვებავი კრემი ინდივიდუალურად უნდა შეირჩეს, რისთვისაც საჭიროა ქალმა ექიმ-კოსმეტოლოგს მიმართოს.

არასოდეს არ წაისვათ მკვებავი კრემი მშრალ და გაუსუფთავებელ სახეზე.

## კანის მოვლა საღამოობით

საღამოთი უპირველეს ყოვლისა, სახე გაიწმინდეთ თქვენთვის განკუთვნილი ლოსიონით; შესაძლებელია გაწმენდასთან ერთად ყინულით დაბანაც. შემდეგ ჯერ ისევ სველ სახეზე წაისვით მკვებავი კრემის თხელი ფენა. სასურველია კრემი ექიმმა გამოგიწეროთ. 15-20 წუთის შემდეგ სახე შეიმშრალეთ ქაღალდის ან ნაჭრის ხელსაწმენდით. ღამით სახეზე კრემის დატოვება სასურველი არ არის, რადგან კრემი კანს საშუალებას არ აძლევს თავისუფლად ისუნთქოს, გარდა ამისა, ზედმეტი ცხიმი კანს ადუნებს და მომჩვარულს ხდის.

ყინულით დაბანა შეგიძლიათ დღისითაც, ეს სახეს აცოცხლებს და სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს.

ყინულით დაბანა ხელმისაწვდომია ყველა ქალისათვის და არც ისე ბევრ დროს მოითხოვს.

ყინულით დაბანის შემდეგ ქრება სახის კანის შეშუპებითი მოვლენები, უმჯობესდება სისხლის მიმოქცევა, კანი ამტანი ხდება ტემპერატურის ყოველგვარი ცვალებადობის მიმართ. ის, ვინც სისტემატურად იბანს ყინულით სახეს, კანი რბილი, ელასტიური და ხავერდოვანი აქვს.

კოსმეტოლოგი ლ. სედოვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია

წლევანდელი წელი მთელს პლანეტაზე ქალის წლად არის გამოცხადებული, ამის გამო რვა მარტიც განსაკუთრებით აღინიშნება. ალბათ ყოველი თქვენგანის სურვილია სტუმრებსაც კარგად გაუმასპინძლდეს და თქვენი სუფრაც კარგად გამოიყურებოდეს. ამიტომ გთავაზობთ რამდენიმე ტორტის და კრუშონის რეცეპტს.

### ტორტი „ზღარბი"

მასალა: 250 გრ ნუში, 350 გრ კარაქი, 2 სუფრის კოვზი ყავა ერთ ჭიქა წყალზე, 1,5 ჭიქა შაქარი, ვანილი.

ბისკვიტისათვის 5 კვერცხი, 1,5 ჩაის ჭიქა შაქარი, 1 1/4 ჭიქა ფქვილი.

მოცემული რეცეპტის მიხედვით ჩვეულებრივი წესით გამოაცხვეთ ბისკვიტი. მაშინვე გადმოიღეთ ტილოზე, რულეტივით დაახვიეთ და გააციეთ.

ნუშს დაასხით მდუღარე წყალი, ცოტა ხანს გააჩერეთ, რომ გაცივდეს. წყალი გადაწურეთ, ნუშს კანი გააცალეთ და სიგრძეზე წვრილად დათალეთ.

კრემის დამზადება: კარაქი და შაქრის ფხვნილი კარგად ალესეთ, თან ჩაის კოვზით უმატეთ ყავის მაგარი ნაყენი, უმატეთ მანამ, სანამ არ შეიზილება ერთგვაროვან მასად და შაქარიც არ გადნება.

გაცივებული ბისკვიტი გაშალეთ, წაუსვით კრემი და ისევ დაახვიეთ, ყოველი მხრიდან წაუსვით კრემი. შემდეგ კრემწასმულ ტორტზე დააყარეთ ნუშის ნათალი ისე, რომ ზღარბის ეკლებს დაემგვანოს. ტორტი ძალიან უნდა გააციოთ.

### ტორტი „ევა"

მასალა: 500 გრ კარაქი, 12 კვერცხი, 1 კგ შაქარი, ორი ჭიქა თხილი 1 კოლოფი კაკაო, 1,5 ჭიქა ფქვილი, 1 ჭიქა რძე.

ბისკვიტის ცომის მომზადება: 6 კვერცხის გულისა და 1,5 ჭიქა შაქრისაგან გააკეთეთ გოგლი-მოგლი, თქვიფეთ სანამ გათეთრდებოდეს, შემდეგ ჩაყარეთ შიგ 1,5 ჭიქა ფქვილი, დაუმატეთ 6 კვერცხის აქაფებული ცილა და მთელი მასა ფრთხილად აურიეთ.



მოამზადეთ მომრგვალებული ფორმის პაწაწინა ყალიბები, გამოუსვით კარაქი, მოაყარეთ ფქვილი, ჩადეთ შიგ თითო ჩაის კოვზი ცომი, დააწყვეთ ტაფაზე და გახურებულ ქურაში შედგით, რომ შეწითლდება, გამოიღეთ.

დარჩენილი ცომი დიდ ოთხკუთხა ტაფაზე დადეთ და ისიც გახურებულ ქურაში შედგით.

კრემის მომზადება: ქვაბში 6 კვერცხის გულისა და 2 ჩაის ჭიქა შაქრის ფხვნილისაგან გააკეთეთ გოგლი-მოგლი, გათეთრებამდე, ჩაყარეთ შიგ 2 სუფრის კოვზი კაკაო, ჩაასხით ერთი ჩაის ჭიქა ცხელი რძე. ეს ქვაბი მდუღარე წყლით სავსე ქვაბს ზედ დაადგით, თან ურიეთ, სანამ არ შესქელდება. მერე გადმოდგით და გააციეთ.

პაწაწინა ყალიბებში გამოცხობილი ბისკვიტი ამოავლეთ კრემში, მერე დააყარეთ წვრილად დაჩეჩქვილი მოხალული თხილი.

250 გრამი შაქარი ჩაყარეთ ქვაბში, შედგით ცეცხლზე. შაქარი როგორც კი გადნება და ყვითელ ფერს მიიღებს, გადმოდგით. მიღებული კარამელი ფუნჯით ფრთხილად და თხლად წაუსვით თხილმოყრილ ბისკვიტებს.

500 გრამი კარაქი ძალიან დიდხანს ლესეთ, სანამ არ გათეთრდება, მასში კარგად აურიეთ მოხარშული კრემი, დაუმატეთ ვანილი და ნელ-ნელა ჩაუმატეთ მორჩენილი ცილა.

დიდი ბისკვიტი გაჟღინთეთ წყალში გახსნილი ალუბლის ლიქიორით, ზემოდან წაუსვით კრემი, ზედ დაალაგეთ ერთიმეორის გვერდით პატარა ბისკვიტები, ქვემოთ დაუდეთ თითო ჩაის კოვზი კრემი, ამ კრემში ჩააწყვეთ რამდენიმე მარცვალი შემჭკნარი ალუბალი.

პატარა ბისკვიტები ერთიმეორის გვერდით ისე უნდა დააწყოთ, რომ მათ შორის ადგილი დარჩეს.

მორჩენილი კრემი საკონდიტრო პარკში მოათავსეთ და მორთეთ ტორტი; კრემის ზიგზაგებრივი ზოლებით შემოფარგლეთ თითოეული პატარა ბისკვიტი. ასევე შემოაზიგზაგეთ მთლიანად ტორტის კიდეები.

### კრუშონი ფორთოხლისა და მსხლის კონსერვისაგან

მასალა: 4 ფორთოხალი, 400 გრ შაქარი, 1 ქილა მსხლის კონსერვი, 3 ბოთლი წითელი ღვინო, 2 ბოთლი ბორჯომი.

3 ფორთოხალს ჩამოაფხიკეთ სურნელოვანი კანი, თეთრი კანიც მოაცილეთ, დაჭერით თხელ რგოლებად, თუ თესლი აქვს, გამოარჩიეთ. კრუშონის ჭურჭელში ჩაალაგეთ დაჭრილი ფორთოხალი, მოაყარეთ 400 გრამი შაქრის ფხვნილი. რამდენიმე საათს დადგით სიცივეში. მსხალი კუბურებად დაჭერით, სუფრაზე მიტანის წინ ყოველივე ზემოთჩამოთვლილს დაასხით დაკონსერვებული მსხლის წვენი, 3 ბოთლი წითელი ღვინო, 2 ბოთლი ბორჯომი, დააყარეთ ფორთოხლის ნაფხეკი და ყინულის ნამსხვრევები.

### კრუშონი მანდარინისა და ტკბილი ვაშლისაგან

მასალა: 400 გრ ვაშლი, 300 გრ შაქარი, 10 მანდარინი, 1/2 ჭიქა რომი, 1 ბოთლი წითელი ღვინო, 3 ბოთლი ბორჯომი.

ვაშლები გაფცქვენით, შუა-შუა დაჭერით, მერე დათალეთ და მომინანქრებულ ქვაბში ჩაალაგეთ, დაასხით მდუღარე ვაჟინი (სიროფი), რომელიც 300 გრ შაქრითა და ერთი ჩაის ჭიქა წყლით იქნება მომზადებული. გააციეთ. 10 მსხვილი მანდარინი გაფცქვენით, 4 მანდარინს ჩამოაფხიკეთ კანი. გაფცქვნილი მანდარინები რგოლებად დაჭერით. გაცივებულ ვაშლის ვაჟინთან ერთად გადაიტანეთ კრუშონის ჭურჭელში, დაამატეთ დაჭრილი მანდარინი და დაფხეკილი კანი, შემდეგ ყველა ამას დაასხით რომი, წითელი ღვინო და ბორჯომი.



### კრუშონი ვაშლისაგან

მასალა: 1,5 კგ ვაშლი, 2 ლიმონი, 2 ლიტრი ცივი მაგარი ჩაი, 2,5 ჭიქა შაქარი, 1 ბოთლი შამპანური.

ვაშლი გაფცქვენით, ოთხად გაჭერით, გული ამოაცალეთ, თითოეული მეოთხედი ნაჭერი თხლად დათალეთ, დიდ მომინანქრებულ ქვაბში ჩაალაგეთ, დაამატეთ ორი ლიმონის წვენი, 1/2 ლიმონის კანის ნაფხეკი, დაასხით გაცივებული მაგარი ჩაი, დაამატეთ შაქარი, დახურეთ სახურავი და 5-6 საათით დადგით სიცივეში. მაგიდაზე მიტანის წინ ყველაფერი ეს გადაიღეთ კრუშონის ჭურჭელში, დაასხით შამპანური, თუ საჭირო იქნა, შაქარიც დაუმატეთ გემოვნებით.

## ახალი დოკუმენტები

# ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას უცნობი წერილი

ჩვენამდე ნინო ჭავჭავაძის მხოლოდ რამდენიმე, ისიც საქმიანი ხასიათის წერილმა მოაღწია. ამ მოკლე ხანში აღმოჩენილია მისი კიდევ ერთი უცნობი ბარათი, რომელიც საკმაოდ ფართოდ წარმოგვიდგენს ნინოს კეთილშობილურ ხასიათსა და განცდებს.

ბარათი აღმოჩნდა ედინბურგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფონდებში...

წერილის ადრესატია სპარსეთში, 1826-30 წლებში ინგლისის ელჩად მყოფ ჯონ მაკდონალდ-კინეირის მეუღლე — ამალია მაკდონალდი. ბარათი ფრანგულ ენაზეა დაწერილი.

როგორც ცნობილია, 1828 წლის 21 სექტემბერს ნინო ჭავჭავაძე მეუღლესთან ერთად, თბილისიდან თავრიზში გაემგზავრა. გზად მცირე ხანს ეჩმიაძინსა და ერევანში დაჰყვეს და თავრიზში 18 ოქტომბერს ჩავიდნენ. აქ რუსეთისა და ინგლისის მისიებს საკუთარი რეზიდენციები ჰქონდათ.

21-სა თუ 22 დეკემბერს გრიბოედოვი, მისიის შემადგენლობის დიდ ნაწილთან ერთად, თავრიზიდან თეირანში წავიდა, რათა სპარსეთის შაჰისთვის თავისი რწმუნების სიგელები გადაეცა. თავრიზში დარჩენილი ნინო ინგლისის ელჩის მეუღლეს დაუმეგობრდა. იმ ხანებში გრიბოედოვი ხშირად უგზავნიდა წერილებს თავის ახალგაზრდა მეუღლეს. მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ერთადერთი, ყაზვინიდან 1829 წლის 5 იანვარს გამოგზავნილი ბარათი გადარჩა.

იმავე წლის 30 იანვარს ალექსანდრე გრიბოედოვი და საელჩოს რამდენიმე თანამშრომელი გაავთრებული ბრბოს მსხვერპლი გახდა. ამ ამბავს დიდხანს უმალავდნენ ფეხმძიმე ნინოს. მეგობრებმა გადაწყვიტეს იგი თბილისში, მშობლებთან გაეგზავნათ. თბილისის გზაზე ნინოს ახლდნენ გენერალური კონსული ამბურგერი, ინგლისის მისიის ექიმი კორმიკი და თბილისელი ალალო-ბეგენიკოლოფოვი. და მხოლოდ თბილისში შეიტყო ახალგაზრდა ქალმა თავს დატეხილი საშინელი უბედურება.

ქვემოთ მოგვყავს ახლადაღმოჩენილი ბარათის თარგმანი:

„თბილისი, 22 აპრილი, 1829 წ.

ძვირფასო ქალბატონო მაკდონალდ,

მე სრულიადაც არ დამვიწყნია თქვენი უნაზესი თანაგრძნობა, რაიც ჩემდამი გამოიჩინეთ იმ მცირე ხანს, თქვენთან რომ დავყავ. თქვენი ფაქიზი ყურადღება იმ უბედურ გარემოში, ჩემის მდგომარეობის წყალობით უფრო რომ მიმძიმდა.

სწორედ თქვენი ზრუნვით დამთავრდა კეთილად გზა თბილისამდე. კეთილო მეგობარო, აქამდე არ დავაყოვნებდი თქვენდამი ჩემი გულწრფელი ნდობისა და მადლიერების გრძნობის გამოვლენას, — ის უმძიმესი ამბავი რომ არ... ჩემი ჩამოსვლის რამდენიმე დღის შემდეგ, დაღლილობამ ძლივს რომ გამიარა, და უფროდაუფრო მომეკიდა მოუსვენრობა და ავი წინათგრძნობა, საჭიროდ ჩათვალეს ფარდა აეხადათ საშინელი სინამდვილისათვის.

ძალა არ მყოფნის აღვწერო ჩემი განცდანი. სწორედ თქვენს გულს, ნაზი მეუღლის გულს მივმართავ, რათა განსაჯოს გლოვა ჩემი. მწამს, თქვენ მიმიხვდებით. ჩემმა ჯანმრთელობამ ვერ გაუძლო ესოდენ დიდ მეხს: ჩემს არსებაში მომხდარი ძვრები გახდა მიზეზი ნაადრევი მშობიარობისა. დაღლილ-დაქანცულმა, მორალური წამებით უფრო, ვიხემ ავადმყოფობით, რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ განვიცადე ახალი, საშინელი ელდა, ბედმა რომ შემიმზადა. ჩემმა საცოდავმა ბავშვმა ერთი საათი იცოცხლა მხოლოდ და თავის უბედურ მამას გაჰყვა იმ ქვეყანაში, სადაც, ვიმედოვნებ, ადგილს ჰპოვებს მისი სიქველეც და უწყალო წამებანიც. ბავშვის მონათვლა მაინც მოვასწარით, ალექსანდრე დავარქვით — მისი საცოდავი მამის სახელი.

ბოლოსდაბოლოს ეს მაინც დამრჩა ნუგეშად, რომ მშობლიურ ოჯახში ვიმყოფები. ჯერ არავინ ყოფილა მოცული ასეთი მხნე და ნაზი სიყვარულით აღსავსე ზრუნვით, მე რომ მევლებიან თავს. ჩემი ძვირფასი მშობლების წყალობითაა რომ გამოვბრუნდი. მინდა ვიცოცხლო, რათა ეს სიცოცხლე მშობლებს შევწირო.

ძვირფასო ქალბატონო მაკდონალდ, მე ყველაფერი გავიგე. ყველაფერი... ყოველი წვრილმანიც კი. ვიცი, რომ ჩემი უბედური ქმრის ნეშტი თავრიზში გაგზავნეს, სადაც ალბათ ჩაიტანეს კიდეც. მაგრამ გამოგზავნეს კი ეს სევდიანი დანატოვარი თბილისში? აი, რა ვერ გავიგე. თუ თქვენ რაიმე იცით, გევედრებით, შემატყობინოთ. გარდა იმ კმაყოფილებისა, რომ თქვენ გამომეხმაურებით, — საშინლად მინდა გავიგო ბედი ჩემი საუნჯისა, რომლის დაბრუნებასაც შემპირდნენ. მარწმუნებენ, რომ თქვენი თბილისში ჩამოსვლა გადადებულია. ვფიქრობ, თქვენი ჯანმრთელობისადმი საზრუნავი ცოტახანს კიდევ წამართმევს თქვენი ხილვის ბედნიერებას.

ჯერ კიდევ ვერ მოვღონიერდი იმდენად, უფრო გრძელი წერილი რომ გამოგიგზავნოთ. ნება მომეცით დავამთავროთ ეს წერილიც, რათა მისმა ბნელმა ელფერმა გული არ შეგიღონოთ.

ნახვამდის, ძვირფასო და კეთილო ქალბატონო მაკდონალდ, ნუ შეწყვეტთ ჩემდამი თქვენს თანაგრძნობას, რასაც ესოდენ დიდად ვაფასებ. სამაგიეროდ, ყველაზე ცხოველმყოფელსა და ყველაზედ სრულყოფილ მადლობას მიიღებთ. **ნინო გრიბოედოვა**".

**ი. ენიკოლოფოვი**

გარეკანის პირველ გვერდზე — ანა კალანდაძე. მხატვარი ქეთევან მაღალაშვილი; მეოთხე გვერდზე — „ბაზა. ფხულდა". ფოტოეტიუდი ნორა ანთიძისა.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. № 14. ტელეფონის №, №: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 99-71-68. მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54, გადაეცა ასაწყობად 21/1-75 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/II-75 წ. ქაღალდის ზომა 60×90$^{1}/_{8}$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3,
ტირაჟი 120670 შეკვ. 242 უე 01798 **ფასი 30 კაპ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ვიცნობდეთ ჩვენი დედაქალაქის ძეგლებს

# თბილისის დედაციხე (ნარიყალა)

თბილისის დედაციხის არსებობის შესახებ. რომელსაც მოგვიანებით ნარიყალა ეწოდა. ცნობას გვაწვდიან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნის წერილობითი წყაროები

საქართველოს ეს უძველესი და უმნიშვნელოვანესი ციხე აგებულია ვიწრო, მაღალ, სამმხრივ ღრმა ხრამებითა და ფლატეებით შემორტყმული სერის თხემსა და დაფერდებულ ბოლოზე, სადაც ძნელმისასვლელი შიდაციხეა მოზღუდული და რომელიც ზედა და ქვედა უბნებისაგან შესდგება

აღნიშნული ციხე თავისი კოშკებით. ზღუდეებით და მიუვალი კედლებით ფეოდალური ხანის ქალაქისათვის დამახასიათებელ თავდაცვით სისტემას ქმნიდა.

ქალაქის ძველი კედლების შემორჩენილი ნაწილების მიხედვით ირკვევა, რომ გალავნის ერთი კედელი ზედაციხიდან ეშვებოდა მეტეხის ხიდამდე. ქალაქის სამხრეთის კედელი იწყებოდა სტამბოლის კოშკიდან (გვიან შერქმეული), გრძელდებოდა თანამედროვე კომკავშირის ხეივნის გასწვრივ. შემდეგ მკვეთრად უხვევდა ჩრდილოეთისკენ. ახლანდელი ლენინის მოედნის აღმოსავლეთით, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩის გაყოლებით და მტკვრამდე მიდიოდა.

ქალაქთან ერთად, თბილისის ციხე. ხანგრძლივი დროის მანძილზე დამპყრობთა სადგომად და სტრატეგიულ საყრდენად გადაიქცეოდა ხოლმე. ქალაქი დამპყრობლებისაგან დავით აღმაშენებელმა გაწმინდა. უფრო გვიან. ფეოდალურ ხანაში კი, იგი დროდადრო გამოსახსნელი ხდებოდა ხან ირანელი, ხანაც თურქი დამპყრობლებისაგან.

ყოველივე ამას კი ციხის კვლავ ნგრევა და მერე აღშენება-განახლება მოსდევდა თან. მტრის მსახვრელი ხელი ალბათ არც ერთ ჩვენ ციხეს არ მოხვედრია ისე ხშირად, მძიმედ და მწვავედ, როგორც თბილისის დედაციხეს. მისი ბებერი კედლები უკანასკნელად ქალაქს ალა-მაჰმად ხანისაგან იცავდა.

სწორედ განუწყვეტელმა ნგრევა-აღდგენამ განსაზღვრა თბილისის დედაციხის მრავალფეროვნება. ერთადერთი ადგილი, სადაც შემორჩენილია უძველესი ქვათლილებისგან შემდგარი პერანგის რამდენიმე ნაშთი, არის სწორკუთხა გოდოლი, რომელშიც კიბე-შესასვლელია დატანებული. სხვაგან ყველგან ან აგურით შემოჩარჩოებული დაკუთხული ქვებით, ან პირწმინდად აგურით ამოყვანილი პერანგი ჩანს. პირველი — შუაფეოდალურ ხანას ახასიათებს, მეორე — გვიანდელია.

ვახუშტი ბაგრატიონის ცნობით, ციხის შიდა ტერიტორიაზე გუმბათიანი ეკლესია, მეფის სასახლე და სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობები მდგარა.

XIX საუკუნეში ციხემ დაკარგა რა თავისი მნიშვნელობა, მის ტერიტორიაზე არსებული ნაგებობები, ნებით თუ უნებლიეთ, დაინგრა და მიწით დაიფარა.

თბილისის დედაციხის არქეოლოგიური შესწავლა შ. რუსთაველის იუბილეს დღეებში დაიწყო და მომდევნო წლებში გაგრძელდა. გათხრების შედეგად გამოვლინდა გუმბათიანი ეკლესიის ნანგრევები, რომელიც XIII საუკუნით თარიღდება, XVII-XVIII საუკუნეების აბანო, დიდძალი ჭურჭელი, იარაღი, სამკაულები, მონეტები და სხვა.

ჩვენი ჭალარა დედაქალაქის ბასტიონზე ალბათ მომავალშიაც გაგრძელდება გათხრები, რაც არა ერთი მნიშვნელოვანი ფაქტით გაამდიდრებს თბილისის მატერიალური კულტურის ისტორიას.

ირაკლი ზაქარიაშვილი,
საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სწავლული მდივანი.



ИНДЕКС 76178